პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

1980 | 9 მაისი,
პარასკევი
№ 19 (2196)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ



პლაკატი გივი ლომიძისა.

გმირული ეპოპეა

ოცდათხუთმეტი წელი გვაშორებს იმ დღიდან, რაც რაიხსტაგზე, ფაშიზმის ციტადელზე ჩვენი გამარჯვების დროშა აფრიალდა. მოძმე ხალხების ორმა შვილმა, ორმა ვაჟკაცმა, მთელი საბჭოთა ხალხის, ომში გმირულად დაცემული ყველა ჯარისკაცის სახელით აიტანა ეს დროშა ზეცაში და კაცობრიობას ამცნო:

დასრულდა სისხლისღვრა!

დედამიწაზე მშვიდობა იწყება!

ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

მაგრამ ომის ჭრილობები ასე ადვილად როდი იკურნება. იგი თავს გვახსენებს წელთა მერეც, როგორც გაფრთხილება, როგორც მოწოდება, როგორც ისტორიის მკაცრი გაკვეთილი.

მართლაც, რა დაივიწყებს იმ მილიონობით ჯარისკაცს, რომელნიც მეორე მსოფლიო ომში დაეცნენ არა მხოლოდ საკუთარი სამშობლოს გადარჩენისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს, საკაცობრიო კულტურის, ცივილიზაციის გადარჩენისათვის.

ფაშიზმი ხომ პირველყოვლისა ანტიკულტურული მოვლენაა...

ფაშიზმი ხომ გალაშქრებაა ყოველივე ადამიანურის წინააღმდეგ, ცივილიზაციის წინააღმდეგ...

ფაშიზმზე გამარჯვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა კაცობრიობას ძალა ლენინური იდეებისა, ძალა საბჭოთა ჰუმანიზმისა, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმისა; აჩვენა გმირობა, სულგრძელობა და ამტანობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც მზადაა გაიღოს ყოველივე ძვირფასი, თვით სიცოცხლეც კი, სამართლიანი საქმის დასაცავად.

თავის წიგნში „მცირე მიწა" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ლეონიდ ბრეჟნევი მძაფრი სიმართლით, შთამბეჭდავი დოკუმენტურობით აგვიწერს საბჭოთა ხალხის, უბრალო ჯარისკაცის, მხედართმთავრის თუ პარტიზანის გმირობის არაერთ მაგალითს, გვიხატავს ყუმბარებით გადათხრილ ომის გზებს, დანგრეულ ქალაქებს, აწიოკებულ სოფლებს და დაასკვნის: „უკანასკნელ დღემდე ვმარხავდით ერთგულ ამხანაგებს, მთელს გზაზე ვხედავდით აცრემლებულ დედებს, უნუგეშო ქვრივებს, მშიერ-მწყურვალ ობლებს და დღეს რომ მკითხოს ვინმემ, რა მთავარი დასკვნა გამოვიტანე მე, რომელმაც ომი პირველი დღიდან ბოლო დღემდე გამოვიარე, ვუპასუხებდი: იგი აღარ უნდა განმეორდეს, ომი აღარასოდეს აღარ უნდა მოხდეს".

ჩვენი მთავრობისა და პარტიის მეთაურის ეს სტრიქონები ნათლად გამოხატავს პათოსს არა მარტო ამ ღირსშესანიშნავი წიგნისა, არამედ მთელი ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც საფუძვლად უდევს დიადი ლენინური მოძღვრება, ჩვენი ხალხის მტკიცე სურვილი, ისტორიის, მეორე მსოფლიო ომის უმკაცრესი გამოცდილება.

გმირულ ეპოპეას უწოდებენ საბჭოთა ხალხის თავდადებას დიდ სამამულო ომში. გმირული ეპოპეა შეიძლება ეწოდოს მთელ საბჭოთა კულტურას — ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომელიც ომის პირველი დღიდანვე არმიის, ფრონტის, გამარჯვების სამსახურში ჩადგა.

ვის არ ახსოვს ქართველი მხატვრის პლაკატი „დედასამშობლო გვეძახის", რომელიც გამარჯვებისაკენ მოწოდების ნამდვილი სიმბოლო გახდა; ვის არ ახსოვს მკაცრი და ვაჟკაცური, მრისხანე და ძლევამოსილი მელოდია „წმიდათაწმიდა ომისა"; ვის არ ახსოვს კეთილისაგან ბოროტის ძლევა შოსტაკოვიჩის ცნობილ „ლენინგრადულ სიმფონიაში"; ვის არ უნახავს ოპტიმიზმით, მრისხანებით და მთელი ჩვენი ხალხის უძლეველი ჰუმანიზმით აღბეჭდილი იმდროინდელი კინოფილმები „ზოია", „ახალგაზრდა გვარდია", „ის კვლავ დაბრუნდება" და სხვანი; რა დაგვავიწყებს ომით დაცხრილულ ქუჩებში გაკრულ პლაკატებს — „ხიშტით და კალმით", რომლებშიც საბჭოთა პოეტების შთამბეჭდავი პატრიოტული ლექსები იყო დაბეჭდილი.

„მელოდე" — ასე უწოდა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა კონსტანტინე სიმონოვმა თავის ცნობილ ლექსს, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცის იმედიან მონოლოგად, სამშობლოს წინაშე ფიცად იქცა. ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე" ყველა გმირულად დაცემული ჯარისკაცის სახელით მოგვიწოდებდა ნაბიჯითაც არ დაგვეხია უკან, მოვმკვდარიყავით, მაგრამ მკერდით შეგვეკრა დერბენდი და დარიალი — საქართველოს ორი კარიბჭე. გამარჯვების ურყევი რწმენა, სიცოცხლის დიდი სიყვარული, ჭაბუკური მგზნებარება და ოპტიმიზმი ჟღერს იმ ახალგაზრდა პოეტების ლექსებში, დღიურებში თუ ბარათებში, რომელნიც „ჭაბუკებად დარჩნენ მარად"... ვინც საქართველოს მწერალთა კავშირს სწვევია, უთუოდ ნახავდა უბრალო მემორიალურ დაფას, რომელზეც ომში გმირულად დაცემული ქართველი მწერლების სახელებია ამოკვეთილი.

საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ შექმნა მართლაც ამაღელვებელი, დიადი ეპოპეა ომისა, რომელიც არასოდეს წაიშლება კაცობრიობის მეხსიერებაში. ამ ეპოპეის მთავარი გმირი ჩვენი ხალხია, ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი მამები და ძმები, დედები და შვილები. ისინი ომში მიდიან ნათელი ღიმილით და ჩვენი გამარჯვების, ჩვენი საქმის ურყევი რწმენით. ისინი გმირულად ეცემიან და თვით აუტანელ ჯოჯოხეთშიც არ კარგავენ კაცთმოყვარეობას, ნათელ ჰუმანიზმს. მთელი ეპოპეა დიდი ომისა სწორედ ამ ნათელი ჰუმანიზმით, ადამიანის სიყვარულით, ადამიანის გადარჩენის საკაცობრიო იდეით გამოირჩევა.

დაწყებული პირველი მომწოდებელი ლექსებიდან, ოპტიმისტური ჟღერადობის რომანებიდან, კინოფილმებიდან, სპექტაკლებიდან, სიმღერებიდან და მხატვრული ტილოებიდან, დამთავრებული სულ ახალი, თანამედროვე ლექსებით, ჩვენი მხცოვანი პოეტები თუ ჭაბუკები და ქალიშვილები რომ ქმნიან, გმირული ეპოპეა განადიდებს ადამიანის ძლიერებას, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ვაჟკაცს, სინათლისათვის მებრძოლ გმირს. ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ეს ეპოპეა სულ უფრო ახალ-ახალ იდეურ-მხატვრულ სიმაღლეებს იპყრობს, სამართლიანი ომის მონაწილე ხალხის ფსიქოლოგიის, მორალის სულ უფრო ღრმა შრეებს წვდება. ომის თემა ლიტერატურის „მარადიული თემა" გახდა, როგორც სიმბოლო ბოროტების წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლისა.

არავინ და არაფერია დავიწყებული — ვამბობთ ჩვენ, დღევანდელი თაობები, და თანამედროვეობის მადლიერება ომში დაცემულთა მიმართ გამოიხატება ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს გზებზე, სოფლებსა და ქალაქებში აღმართული დიდების მონუმენტებით და მემორიალებით, უცნობი ჯარისკაცის საფლავებით და ძეგლებით. ამ ძეგლებსა და მემორიალებში ჩვენი სკულპტორები და არქიტექტორები აქსოვენ ყველაზე წმიდათაწმიდას, ყველაზე ამაღლებულს, რაც კი დღევანდელ ადამიანს გააჩნია: ეს ძეგლები მოწოდებაა, გაფრთხილებაა ყველას მიმართ, ვისაც ომი თავისი ვერაგული მიზნებისთვის სჭირდება, ვინც დაივიწყა ისტორიის უმკაცრესი გაკვეთილი.

სიტყვა „დავიწყება" საბჭოთა ადამიანისთვის უცხოა და გაუგებარი. ვის შეუძლია დაივიწყოს მილიონობით დაღუპულთა ხსოვნა, მათი წმიდათაწმიდა სისხლი. მაგრამ მსოფლიოში არიან ძალები, რომელთაც აღარ სურთ ომის მკაცრი გაკვეთილის გახსენება... დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ვნახეთ მკაცრი და ამაღელვებელი ფილმი „დიდი სამამულო"... ამ გრანდიოზულ ეპოპეაში, რომელსაც დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღეებში ლენინური პრემია მიენიჭა, კიდევ ერთხელ აღსდგა ჩვენს თვალწინ ომის შემზარავი დღეები, ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობა, ისტორიული როლი კაცობრიობის გადარჩენის საქმეში. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო იმ ფაქტს, რომ ამ დაუვიწყარ ეპოპეას ამერიკის შეერთებული შტატების მაყურებელი „უცნობი ომის" სათაურით ნახულობს.

მაგრამ ვისთვისაა ეს ომი „უცნობი"? არ შეიძლება იგი „უცნობი" იყოს მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის მომავალი, ვინც თავის ახალგაზრდობას, ომისშემდგომ მოსულ თაობებს ადამიანობის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით ზრდის, ვისთვისაც მთავარია საყოველთაო მშვიდობა და ის გრანდიოზული სულიერი და კულტურული საგანძური, რაც ჩვენს პლანეტაზე საუკუნეთა მანძილზე შექმნილა.

დღევანდელი ზეიმიც მშვიდობისკენ მოგვიწოდებს, კაცობრიობის მომავალზე დაგვაფიქრებს, ახალი ომის ძალთა წინააღმდეგ გვრაზმავს და შეგვაკავშირებს.

რევაზ მარგიანი

ორი ბალადა

ტკბილ-მწარე ბალადა

მინდოდა ტაბლა დამედგა,
ტოლებთან მემუსაიფა;
რომელი კვირა დამეთქვა,
ლხინის დღედ დამეთარიღა;

ვფიქრობდი, ფიქრი გავცვითე,
ჩემს თავთან შევლაპარაკდი
და ბოლოს, ძლივს გადავწყვიტე —
ხვალვე დამედგა ტაბაკი.

მოვიხმე ჩემი ყრმობიდან
მხოლოდ ცხრა ტოლ-ამხანაგი;
ცხრიდან ხუთი არ მოვიდა,
ხუთი მჩქეფარე არაგვი.

ამაო იყო ლოდინი,
მძიმე გამოდგა ტაბაკი,
გულზე დამაწვა ლოდივით
ხუთი ძმის ძვალშესალაგი.

ცხრა ჯამი დავდგი ტაბაკზე,
ავცრემლდი თავისთავადა;
ცხრა ჯამი ღვინით ავავსე,
ცხრიდანვე ალი ავარდა.

შუა გავხლიჩეთ ცხრა პური —
ცხელი, ახალი ცხრა მთვარე,
ღიმილი, სევდანაპკური,
ტაბლაზე გადავაყარეთ.

ნაღველმა ხელი დაგვტაცა,
ვინც ნუთისოფელს შემოვრჩით;
ხსოვნა უილბლო ვაჟკაცთა
ატირდა სადღეგრძელოში...

დამძიმდა ლექსით ჰაერი,
კვამლი შედედდა ზმორებით
და აჩახჩახდნენ შაირით
სიტყვები ნაამბორები.

მაინც რა იყო ის ტაბლა,
უბრალო, სადა, ღარიბი;
შეგვჩურჩულებდნენ ხმადაბლა
შინმოუსვლელთა პწკარები.

შევხურდით, შევსვით, დავნაყრდით,
ტკბილ-მწარე გახდა ტრაპეზი;
მათივე ლექსით გავმაგრდით,
მათი ხმით უძვირფასესით.

მინდოდა ძმობა ნამდვილი,
ალალი დავდგი ტაბაკი;
შეერთდა გულისწადილი
ცხრა ბიჭის, ტოლ-ამხანაგის.

ხუთი შორს დაგვრჩა ავდარში,
ოთხი აქ, ტაბლას შემოვრჩით;
არ გვითქვამს, როგორ გადავრჩით,
მდუღარე სადღეგრძელოში.

მათ გამო, ვინც ვერ მოვიდა,
ავცრემლდით თავისთავადა;
მოგვიახლოვდნენ შორიდან
და ჯამში ცეცხლი ავარდა...

ჩვენი პურობაც დასრულდა,
მოკლე, ვით საბას არაკი,
გასაუბრება წარსულთან
ცხრა ბიჭის, ცხრა ამხანაგის.

დასრულდა. მეტირებოდა.
ავცრემლდი თავისთავადა.
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა
და წერტილს მთხოვდა ბალადა.

ლოდინის ბალადა

შინმოუსვლელთა დედებს

ლოდინი — თრთოლვად ქცეული,
დარდის, ვარამის ფანტელი;
ბურუსში გამოხვეული
აცრემლებული სანთელი;

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი,
ჭირთა მთმენი და მკურნალი;
იმედის წყარო ცოდვილი,
იმედის ჩარხი მბრუნავი;

ლოდინი — შუქი შემფრთხალი,
იმედის ძალა მსუსხავი,
დედათა თვალზე შემკრთალი
უბინო ცრემლის კურცხალი;

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი,
ვარამის ქვაზე ნალესი;
იმედი — გულდაკოდილი,
იმედის ფრთები ნალეწი:

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი,
იმედის ნერვი მფეთქავი;
დარდი — დარდს გადაჭდობილი,
დამფრთხალი, ვით ნაპერწკალი.

ოცდათხუთმეტი წლის დარდი —
უთვალავ ღამის მთევარი,
ნაკენკი წლების ნისკარტით
ძუძუ — მემჭკნარი მტევანი.

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი,
სიმართლეს არ სურს დანებდეს,
დედის იმედად შობილი
დედის გულს უმკურნალებდეს!

ლოდინის, მხოლოდ ლოდინის
ფრთის შრიალს მიაყურადე.
იმედზე მკლავდაყრდნობილი
სიცოცხლის დასასრულამდე.

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი
დედის თვალს მატებს სინათლეს;
დედა დარდშია წრთობილი,
მაინც ნუ ვეტყვით სიმართლეს.

ლოდინი არის წამალი,
დედის გულს უნდა შველოდეს:
— შვილს შორი გზა აქვს სავალი
მშობლიურ ყანა-მდელომდე.

ლოდინი, მხოლოდ ლოდინი
იმედად გულს დაჰფენოდეს.
ელოდეს, დედა ელოდეს,
თვით სამარემდე ელოდეს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირულ დღეთა გახსენება

დიდი სამამულო ომის დღეთა გმირული ეპოპეა მოგონებათა ფურცლებით ივსება.

დღევანდელ ნომერში ფრონტულ დღეებს იგონებენ ომის მონაწილე ქართველი მწერლები: **შალვა ამისულაშვილი, ელიზბარ მაისურაძე, აკაკი გეწაძე, ნახა კანდელაკი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, კარპე მუმლაძე.**

ახალ მოთხრობას გვთავაზობს **თენგიზ გოგოლაძე.**

ფრონტულ იუმორს იხსენებს **ნიკა აგიაშვილი.**

შალვა ამისულაშვილი

მზისფერი ბრაგა

წიგნიდან „ფრონტული სიჭაბუკე“

ბორისაგლებსკის საველე ჰოსპიტალში ვიწექი. ვორონეჟის მისადგომებთან ნაღმის ნამსხვრევით დაჭრილს ჭრილობა თითქმის მოშუშებული მქონდა, რომ ახლა წყეული ფურუნკული გამიჩნდა და ხელმეორედ გამაკრა სარეცელზე. ფუუ იმისთანა ავადმყოფობას, „ფურუნკული“ რომ ერქმევა სახელად!.. პირდაპირ გამაწამა, გამტანჯა იმ ოხერმა. სიკვდილი მენატრებოდა...

ჰოსპიტალში ხმა დაირხა: ოთხკუთხივ მთელი ჰორიზონტი ცეცხლის ალშია გახვეული, ალბათ მტრის ალყაში ვართ მოქცეულებიო... დაჭრილებს შიში ჩაუდგათ თვალებში, განსაკუთრებით იმათ, რომელთაც მოძრაობა უმძიმდათ ჩემსავით... დღე დღეს მისდევდა, მსგავსი რამ არაფერი მომხდარა ბორისაგლებსკის შემოგარენში. ხმაურმა ხმაურად ჩაიარა... ამასობაში მეც წამოვდექი ზეზე... მორჩენით კი მოვრჩი, მაგრამ სარკეში ჩემი თავი ველარ ვიცანი, ისე ვიყავი ჩამომხმარ-ჩამოყვითლებული.

ვიყავი და, აკი პირველად ჯერ გამაჯანსაღებელ ნაწილში გამაგზავნეს კიდევაც... გამაჯანსაღებელი ნაწილი კი გახლდათ, მაგრამ გაურჯელად არც იქ აჭმევდნენ პურს რუხფარაჯიან ჯარისკაცებს... მეორე თუ მესამე დღეს შტაბის დაცვაში მოვხვდი და თითქმის დღეგამოშვებით ყარაულში მიხდებოდა ხოლმე ყოფნა ჩემს ახალ მეგობრებთან ერთად...

ყველაზე მეტად მეცამეტე მორიგეობა ჩამრჩა ხსოვნაში. შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ჩერედნიჩენკომ განზე გამიხმო და მითხრა, კაპიტან ჩივილიხინს ხომ იცნობ, ამაღამ შტაბში ფეხს აღარ შემოადგმევინებ, თუ არ დაგემორჩილა, ტყვია აძგერე შუბლში, წინააღმდეგ შემთხვევაში შენ დაისჯებიო მაგრად....

მიზეზი არ მითხრა, არა და, გაგიჟებას არაფერი მაკლდა. კაპიტან ჩივილიხინს მართლაც ვიცნობდი, მხოლოდ შორიდან. ლამაზი ახალგაზრდა კაცი იყო, სულ გამოწკეპილი დადიოდა და ოდნავ შეზარხოშებულს ჰგავდა ყოველთვის. წარმოიდგინეთ, ესეც კი უხდებოდა... ერთხელ ვიღაც-ვიღაცეებმა ყურში ჩამაწვეთეს: მაგასაც შენსავით ლექსების წერა უყვარსო....

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. ჩერედნიჩენკო რუსლიაკოვების ოჯახში იმყოფებოდა იმ დროს, ბინად იქ იდგა და შეიძლება შტაბში აღარც შემოევლო ახლა...

ეზოში ვიღაც შემობარბაცდა. — სდექ, ვინა ხარ-მეთქი! — წესდების მიხედვით სამჯერ კი არა, მგონი ათჯერაც გავუმეორე, მაგრამ საქმეში ხართ, ის მაინც მოდიოდა, მოიწევდა ჩემსკენ.

— სდექ, თორემ ახლა კი გესვრი! — შევყვირე უცბად და თოფი ჩახმახზე შევაყენე...

— მესროლე შენი ასე და ისე! თუ არ მესვრი, მე თვითონ გესვრი! — შემომყვირა იმანაც და მთვარის შუქზე დამიზნებული დამბაჩის ლულა დავინახე...

ვიცანი, ვინც იყო, მაგრამ სიმთვრალე მისი არ მომეწონა, შევკრთი, ემანდ არ დამასწროს-მეთქი და ის იყო, სასხლეტისათვის თითი უნდა გამომეკრა, რომ გულმა მიკარნახა, თოფი დაბლა დაუშვი....

კაპიტანი ერთ წამში ჩემთან გაჩნდა. მარცხენა ხელი მარჯვენა მხარში გამკრა, მხოლოდ გამეტებულად კი არა, ისე, უბრალოდ მეც დრო ვიხელთე და მოღერებულ მარჯვენა ხელიდან რევოლვერი გავაგდებინე ყოველ შემთხვევისათვის. დახრით, ცხადია, მე დავასწარი და რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე არხეინად.... კაპიტანი აღარ გამძალიანებია, ბოჩოლასავით დამყვა. მაშინვე შტაბის რომელღაც პატარა ოთახში შევიყვანე და გარედან კარები გადავურაზე...

მეორე დღეს შტაბის უფროსმა დილაადრიანად გამომიძახა. მეგონა დამსჯიდა, ჯვარს მაცვამდა, რატომ არ ესროლეო, სინამდვილეში კი დიდი მადლობა დავიმსახურე მისი, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩემს მიერ წართმეული დამბაჩა ჩავაბარე... თანდათან ყველას თვალში ავმაღლდი, გავიზარდე. დიდი და პატარა სულ სხვანაირად მეპყრობოდა უკვე. შემდეგ აღარც ის კაპიტანი მინახავს მთვრალი, მაგრამ შეზარხოშებულს მაინც ჰგავდა ყოველთვის. ეს ალბათ მისი თანდაყოლილი თვისება იყო.

ბევრს ვფიქრობდი და სხვას რომ ვერაფერს მივაგენი, ვთქვი: ის, რაც მე გადამხდა იმ ღამეს ყარაულში ყოფნის დროს, ნამდვილად ჩემი ჯარისკაცური ავკარგიანობის გამოცდა იყო შტაბის უფროსის მიერ მოწყობილი... ბოლოს, გულში გავივლე, დავუშვათ და მომეკლა ის კაპიტანი, რა მოხდებოდა მერე?!. ავფორიაქდი, დავიბენი და ჩემსავე კითხვას პასუხი რომ ვერ გავეცი, ვინატრე, მალე დავბრუნებულიყავი მშობლიურ დივიზიაში, დიახ მშობლიურ დივიზიაში, მე ხომ იქ დავიბადე, იქ დავჭაბუკდი როგორც რიგითი ჯარისკაცი, როგორც რიგითი მეომარი.

ნატვრა ერთია და ნატვრის ახდენა მეორე. დილა იყო, ეზოში ვიყავი, პირს ვიბანდი ონკანზე. შტაბის უფროსმა ჩერედნიჩენკომ ამხედ-დამხედა წელზემოთ გაშიშვლებულ ჯარისკაცს და აფთრის დაგლეჯილსა ჰგავხარო, მითხრა... მერე აივანზე დარდიმანდულად გადმომდგარ ჩივილიხინს წაუღიღინა: ამ ქართველ ყმაწვილს ისევ ჩვენმა რუსულმა ბრაგამ უნდა უშველოსო. ამის თქმა იყო და იმავე დღეს პატარა წერილითა და ათლიტრიანი ბალონით ხელში ქალაქ ბორისაგლებსკში მიმავალ რომელიღაც ავტომანქანას გამაყოლეს.

ადრესატის პოვნა არ გამძნელებია, დაბალი, კეთილი სახის მოხუცი კაცი იყო, გვარად მგონი რეისნერი. ბალონი პირთამდე ამივსო. ტიბაანური ღვინისფერი დაიდო სვიის ღერებზე ნადუღმა, სვიის ღერებზე დაყენებულმა რუსულმა ბრაგამ. ტიბაანური ღვინო კი, მოგეხსენებათ, თაკარა მზისფერია... თაკარა მზისფერია და მეც მზის ენერგიით ავივსე, როცა ორი თუ სამი სასმისი გადამაკვრევინა კეთილშობილმა მასპინძელმა. თითბრის მათარა მქონდა თან, თავი მოიკლა, ცარიელი არც ის გამატანა, ეს კიდევ შენწილად მომირთმევიაო...

მძღოლი შემპირდა, საათნახევარში გამოგივლით წასაყვანად. მომატყუა, ამასობაში საღამოც წამოეპარა. რას ვიზამდი, გულში ჩახუტებული ბალონი რკინიგზის სადგურამდე მივიტანე, იქნებ რომელიმე მატარებელს გავყოლოდი და წამეღო... მატარებელიო? სად იყო მატარებელი! ცისტერნების ერთად ერთი გრძელი შემადგენლობა იდგა და ეგ იყო და ეგ. ისიც მგონი ჯერ არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას. მაგრამ აღარ დავაყოვნე, სწრაფად მოვნახე ცისტერნა, რომელსაც დახურული, ჯიხურიანი ბაქანი ჰქონდა და ავედი, ავიტანე ჩემი ავლადიდება...

ის იყო ბუფერების პირველი ჯახანი გაისმა, რომ კიბის სახელურს თოვლივით თეთრი და მოქნილი თითები შემოეჭდო. ნაპირზე მივდექ, გადავიხედე, ცდილობდა ვიღაც მაღლა ამოსულიყო, მაგრამ საფეხურს ფეხს ვერ აწვდენდა, არ შეიძლებოდა არ მივეშველებოდი, მივეშველე და რამდენიმე წამში ჩემს წინაშე იდგა ულამაზესი რუსის გოგონა. კვიცის ტყავისაგან შეკერილი მოკლე ჯუბა ეცვა, თასმის დუღმებით შეკრული. თავთუხისფერი თმები ბურბუშელასავით ეყარა მხრებზე და მეგონა მზისაგან ალეწილი მისი მაღალი წვივები ალისფერი კოცონების მხურვალებას მცემდნენ სახეში მოულოდნელობისაგან შემკრთალსა და შეურიალებულს.

გოგონა ისეთი ჯანსაღი და თამამი ჩანდა, ვიფიქრე, ჩემს დაუხმარებლად არ უნდა გასჭირვებოდა-მეთქი ტამბურზე ამოხტომა... მაშ, რატომ მოიქცა ასე? რად მოიმკვდარუნა თავი?! — მებადებოდა ასეთი კითხვები. მებადებოდა, მაგრამ ბორბლების გრიალში და ბუფერების ჯახანში უკვალოდ იკარგებოდა ისევ...

არ ვიცი, ვკითხე თუ არა, ისე კი მახსოვს, გოგონამ შეშინებული ხმით მაუწყა თავისი ვინაობა, ალბათ სხვანაირად არც შეეძლო ჩემს შემხედვარეს: მიცნობდეთ, გვარად რუსლიაკოვა გახლავართ, მეათე კლასის მოსწავლე, სახელად რაისა მქვია, მშობლები ფრონტზე დამეღუპნენ, მარტო მე და ბებიალა დავრჩით ოჯახში...

უცბად პოდპოლკოვნიკი ჩერედნიჩენკო გამახსენდა, ბინად ის ხომ რუსლიაკოვების ოჯახში იდგა. ახლა კი მივხვდი, სადაც მიიჩქაროდა თასმის დუღმებით შეკრულ ჯუბაში გამოწყობილი ჩემი ულამაზესი თანამგზავრი... სადღაც ამოკითხული მქონდა, ომისთვის არავითარი მშვენიერება არ არსებობსო, ჩემთვის კი იმ წუთებში ნამდვილად არსებობდა იგი...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო და ერთხანს საოცარი სიბნელე ჩამოწვა, გვეგონა უდაბნოში მოვხვდითო, სუნთქვა შეგვეკრა, მაგრამ სადღაც სტეპების მხრიდან ვეებერთელა მთვარე ამოტივტივდა, სივრცეში იდუმალი სინათლე მიმოაფრქვია, ერთმანეთზე გადაბმული ცისტერნები თითქოს რეაქტიულ რაკეტებად იქცნენო, ისეთი სისწრაფე დაეტყო მათ სრბოლას...

გოგონამ შეჰკივლა უცბად, ვაიმე რა გვეშველება, ჩვენ უკვე გავცდით იმ სადგურს, სადაც უნდა ჩამოვსულიყავითო... დავფაცურდი, გადავიხედე დაბლა, მთვარის შუქზე გარკვეულად ჩანდა, რომ რკინიგზას ქვიშიანი მიწის მაღალი და განიერი ზოლი მოსდევდა ნაპირ-ნაპირ. ჩვენდა საბედნიეროდ მგონი შემადგენლობამაც უკლო სიჩქარეს...

გადავწყვიტე, ჯერ ბრაგით სავსე ბალონი გადამეგდო დაბლა. ასეც მოვიქეცი, ქვიშაზე ისე რბილად გადაკოტრიალდა, არაფერი დაშავებია. დაღვრით კიდევ რა უნდა დაღვრილიყო, გერმეტულად იყო დაცული... ჯერი რაისა რუსლიაკოვაზე მიდგა, მაგრამ უარი მტკიცა, ჯერ შენ გადახტიო... გადავხტი, თუმცა სჯობდა არ გადავმხტარიყავი, რუსლიაკოვა მთელი ხმით მოჰყვა ყვირილს: შევცდი, მაპატიე, ჩვენი სადგური ჯერ კიდევ წინ არი, არ გავცილებულვართო...

რაღას ვიზამდი, დავჯერდი ბედს, ჩამოხტომით ის აღარ ჩამოხტებოდა, სხვაც არა იყოს რა, უკაცრიელ ქვიშნარეთში თავს რად დაიმარტოვებდა ჩემთან. მე კიდევ მუხლებამდე ქვიშაში ვიყავი ჩაფლული, ფრთებს ხომ ვერ გამოვისხამდი. მალე ცისტერნების შემადგენლობა თვალს მიეფარა, მთვარეც აღარსად ჩანდა, დაბნელდა, თითქოს ისიც ცისტერნებმა გაიტაცესო...

იმ ღამეს კაი შვიდი-რვა კილომეტრის გავლა მომიხდა ფეხით. გათენებისას ძლივს მივაღწიე ჩვენი ნაწილის ადგილსამყოფელს. ყელი მიშრებოდა, მუხლები მეკვეთებოდა. ქამრიდან მათარა მოვიხსენ, მოვიყუდე დაშაშრულ ტუჩებზე, ჯანში რაღაც შვება და სიამე ვიგრძენი. მათარას ტუჩები რომ მოვაცილე, აივანზე კაპიტანი ჩივილიხინი და პოდპოლკოვნიკი ჩერედნიჩენკო შევნიშნე, ისინი იცინოდნენ, ხოლო მათი სიცილის ხმა რატომღაც ჩემამდე არ აღწევდა...

ეტყობოდათ, ახალი პირდაბანილები იყვნენ, წითელმამლებიანი რუსული პირსახოცი გადაეგდო მხარზე ერთსაც და მეორესაც და მისი ბოლოებით მხოლოდ თითებსღა იმშრალებდნენ, ისე, უსანდომოდ, სასხვათაშორისოდ. მათთან ვიღაც ხელჯოხიანი მოხუცი ქალი იდგა, რომელსაც რაღაცას ანიშნებდნენ ჩემზე, მერე სამივენი დაბლა დაეშვნენ, მე მომიახლოვდნენ.

მოხუცმა ქალმა ქოჩორზე ალერსით ხელი გადამისვა და მაუწყა: რაისა რუსლიაკოვას ბებია გახლავართ, მადლობა ღმერთს, კარგად გადარჩენილხართო. მივხვდი მისახვედრს, წელში გავიმართე, თავისუფლად ამოვისუნთქე. ჩემს გარშემო ფერი მოემატა ყველაფერს. ქვიშნარეთში ნათრევმა ბრაგით სავსე ბალონმაც მზესავით დაიწყო ნათება. ამ დროს კაპიტანმა ჩივილიხინმა უბიდან პატარა თხელყდიანი წიგნი ამოაცოცა და მე გამომიწოდა, სახსოვრად მიიღეო ჩემგან. წიგნს „ბრაგა“ ეწერა სათაურად. გამიხარდა, ხელთ ტიხონოვის ლექსები მეპყრა, სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი, მართლაც რუსულ ბრაგასავით მაგარი და მათრობელა ლექსები, რომელთაც ჯერ კიდევ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ვკითხულობდი ხოლმე ჯარში გაწვევამდე...

შტაბის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ჩერედნიჩენკომაც დიდად გაიხარა, თავად დასწვდა მზისფერსა თუ მზესავით ანთებულ ათლიტრიან ბალონს და ზუსტად იმ ოთახში შეგვიძღვა, რომელშიც ჩემს მიერ იარაღაყრილმა კაპიტანმა ჩივილიხინმა ერთი ღამე გაათენა თეთრად, როგორც დამნაშავემ. რაისა რუსლიაკოვას ბებია შიგნით არ შემოგვყოლია, ის კარებშივე დაგვემშვიდობა და თავის გზას გაუდგა.

რამდენიმე ჭიქის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა ჩერედნიჩენკომ ჩემი სადღეგრძელო შესვა და მახარა: ხვალიდან შენს მშობლიურ დივიზიას დაუბრუნდებიო. თან შემდეგიც დაუმატა: იცოდე, მორცხვი ქალი თუ ქვეყნის ფასია, მორცხვი ვაჟკაცი კვერცხის ფასიაო... მენიშნა მისი ნათქვამი და თვალწინ რაისა რუსლიაკოვა დამიდგა მყისვე. ტუჩები ასკილის ყვავილივით უფითრდებოდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: პოდპოლკოვნიკის ქარაგმული სიტყვა არ გეწყინოსო... აკი არც მწყენია, სანანებლად ისღა მრჩებოდა, რომ სინამდვილეში, სიცხადეში ვეღარასოდეს ვნახავდი მას...

ფიქრიდან ისევ პოდპოლკოვნიკმა ჩერედნიჩენკომ გამომარკვია:

— ახალგაზრდული ჭკუა და დაუდუღარი ბრაგა ერთია. ვიცი, შენ ახლა რასაც ფიქრობ. ნუ ღელავ. დარდს ნუ მიეცემი, ხვალ ჩემთან ერთად ისიც დაგემშვიდობება!..

სხვა რაღა მინდოდა... ფრთები შემესხა... პოდპოლკოვნიკს გაეღიმა. მისი ღიმილი მეც გადამედო, მგონი კაპიტანსაც... ღიმილში ტოლს არ გვიდებდა მზისფერი ბრაგაც... ვგრძნობდი, ხვალ ბედნიერი დღე უნდა გათენებოდა...

ელიზბარ მაისურაძე

ფრონტიდან ჩამოყოლილი დღიურები

ომში ყოფნის დროს ერთი ჩვევა გვქონდა ბიჭებს, შინიდან მიღებულ ყოველ ახალ წერილს ერთმანეთს ხმამაღლა ვუკითხავდით. თუ წერილი დაიგვიანებდა, მაშინ ისევ ძველ სამკუთხა ბარათებს ამოვიღებდით და რიგრიგობით ვიწყებდით კითხვას.

ეს ამბავი შეიძლება დღეს უცნაურად მოეჩვენოს ადამიანს, მაგრამ მაშინ ალბათ ჰქონდა გამართლება. მშვიდობიან ცხოვრებას და ოჯახურ ამბებს მონატრებულ მებრძოლებს ყოველი წერილი, საკუთარი იქნებოდა თუ მეგობრისა, დროებით გვავიწყებდა ომისგან გაწამებულ ცხოვრებას და ტკივილებს გვიყუჩებდა.

ეს ჩვევა პირიქით დამრჩა ახლა. ყოველი წლის 9 მაისის წინა დღეებში არ შემიძლია ჩემს ფრონტულ ნაწერებს არ ჩავუღრმავდე და წუთიერად არ გადავეშვა იმ ჯოჯოხეთურ კორიანტელში, რომელიც გამოვიარე. ეს დღიურებიც მაშინდელია. მკითხველს ვთავაზობ უცვლელად, შეულამაზებლად, ისე, როგორც დავწერე მაშინ, სანგარში, როცა ყოველდღიურად მტრის სამას-ოთხასი თვითმფრინავი ბომბავდა ჩვენს პოზიციებს და ირგვლივ ყველაფერს ანგრევდა.

●

15/V-43 წ. დაღამდა. ზარბაზნების გრუხუნი აღარ ისმის, მხოლოდ დაზგის ტყვიამფრქვევი არ ისვენებს, კვლავ კაკანებს გაბმით.

დაღამდა, მაგრამ სინათლე მაინც არ გამქრალა. ცაზე ჩამოკიდებული მაშხალები დღესავით ანათებენ ღამეს. ცეცხლოვანი ტყვიები ცისარტყელასავით ხაზავენ ცას, ღამის სიბნელეში გაუჩინარებულ თვითმფრინავს პროჟექტორები მახეში აბამენ.

მე კი ვზივარ სანგრის თავზე და გავყურებ მაშხალებით განათებულ ცას, შევცქერი ჩვენს თვითმფრინავს. ფერად-ფერადი ტყვიები ელვარებენ მის გარშემო. თვითმფრინავი კი გაბედულად ხერავს მტრის თავზე დამხობილ ცას.

ჩემს მეორე ნომერს მშვიდად სძინავს, ვინ იცის, იქნებ თავი იმერეთში ჰგონია.

საათზე მეტი იქნება, რაც პირველი ნომრები გამოიცვალნენ, მაგრამ არ მინდა გავაღვიძო. ვინ იცის, რა სიზმარსა ხედავს ახლა, არ მინდა იმ წუთიერი ნეტარებიდან გამოვიყვანო. ახალგაზრდა ბიჭი ვარ და ანგარიში უნდა გავუწიო.

ცაზე მაშხალები ქრებიან, არემარე ისევ უჩინარი ხდება, აღარც ბომბარდირების ყრუ გმინვა მოისმის, აღარც საზენიტოების ყეფა. დადუმდა ბუნება, სიწყნარე ჩამოწვა, მაგრამ წინა ხაზზე დაზგის ტყვიამფრქვევი მაინც არ ისვენებს, კაკანებს ერთთავად.

წუთიც და არემარეს ფუტკრისებური ბზუილი ახმიანებს. ეს ღამის თვითმფრინავია, მტრისა. სულგანაბული შევყურებ ცას, თუმცა თვალით ვერაფერს ვამჩნევ, მაგრამ ზუზუნზე ვატყობ, სწორედ ჩვენსკენ მოდის.

სანგარში ჩავდივარ, ვუყურებ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ღამე ერთბაშად ისევ დღესავით ნათდება, თვითმფრინავმა მაშხალები ჩამოჰკიდა ჩვენს თავზე.

ღამის მყუდროებას აფეთქებათა უეცარი ხმაური არღვევს. დომენტი იღვიძებს.

— ხომ მშვიდობაა?

— არაფერია, მტრის „კუკურუზნიკმა“ შრაპნელის ყუთი ჩამოაგდო!

— ახლოს დაეცა?!

— არა, დაგვშორდა!

დომენტი თვალებს იფშვნეტს და მეუბნება:

— ხომ არ გამოცვლილან პირველი ნომრები?

— საათნახევარზე მეტი იქნება!

— მერე და, რატომ არ გამაღვიძე?

— ტკბილად გეძინა და შემეცოდე! რაღაც კარგ სიზმარში უნდა ყოფილიყავი.

— მართლაც რომ კარგი სიზმარი ვნახე. ვითომ მე, შენ, აბდულ ქერიმოვი და ალიევი ვანში ვიყავით, ვქეიფობდით. ისეთი ცეკვათამაში გვქონდა, ისეთი სიმღერა და მხიარულება... რაც წამოვედი, ასეთი სიზმარი არ მინახავს, — მითხრა და რომ გამეცინა, დაუმატა, — ალბათ ლაბადა კარგად არ მეხურა, თორემ ამ სიზმარს რა ჭირი მაჩვენებდა!

— გესმის? ფრთხილად იყავი, იმ ყორანმა არ შეგამჩნიოს, თორემ კარგად გაქეიფებს შენ ვანში! — ვეუბნები და ვწვები დასაძინებლად.

19/V-43 წ. ფეხაკრეფით მიდის ჩვენი ბატალიონი სტანიცა კრიმსკაიას გარეუბნებში, ადგილი უნდა გადავინაცვლოთ. მივდივართ ჩუმად, რომ მტრის სხვავი მოულოდნელად თავს არ წამოგვადგეს.

შევდივართ განაპირა ქუჩებში. ოდესღაც ლამაზი სტანიცა დანგრეულა და გაპარტახებულა, უზარმაზარი შენობები მტრის ბომბებსა და ქვემეხებს დაუნგრევია, ხეხილით სავსე ბაღები ყუმბარის ნამსხვრევებს გაუნადგურებია. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა ცოტა ხნის წინათ ბედნიერებით სავსე სტანიცას.

მივდივართ დინჯად, უხმაუროდ, ბუზის გაფრენასაც კი გაიგებს ადამიანი. მხოლოდ ხანდახან ზარბაზნების ყრუ გმინვა გაახმიანებს მიწყნარებულ ღამეს.

მთვარის სინათლეზე, დასავლეთით კარგად მოჩანს ჭეჭილით ამწვანებული ყუბანის დაუსაბამო ველი. ქუჩების ბოლოში ლეიტენანტი აჩერებს ჩვენს ოცეულს. აქ უნდა დავიჭიროთ თავდაცვა. უკანასკნელი სახლის პირდაპირ, მწვანე ბაღში, მე და დომენტი ვთხრით სანგარს. გვალვისაგან დახეთქილ მიწას ბარი ვერ ერევა, ოფლი წურწურით ჩამოგვდის სახეზე, ტანისამოსი გვისველდება. ახალი მთვარე ღრუბელს ეფარება და სიბნელე ხელს გვიშლის. სამი მუხლისაგან შემდგარი ჩვენი სანგარი დიდ შრომას მოითხოვს, გათენებამდე მხოლოდ ერთი მუხლის გათხრას ვასწრებთ. ნათხარ მიწას მწვანე ყვავილებით და ჭეჭილით ვნიღბავთ და სანგარში ვსხდებით. ვნახოთ დღევანდელი დღე როგორ გაივლის.

20/V-43 წ. დღევანდელი დღეც მიიწურა. იგი არც ისეთი მძიმე გამოდგა, როგორც გვეგონა. სამი „მესერშმიტი“ დაფრინავს ცაზე. ისინი დროდადრო გამოჩნდებიან, ტრიალებენ, თითქოს კალოს ლეწავენო, ღმუიან და ბოლოს ჯანდაბისაკენ იკარგებიან. გერმანელები ხანდახან უწესრიგოდ ისვრიან ზარბაზნებს.

21/V-43 წ. ეს მესამე ღამეა, რაც აქა ვართ. დაღამებისას ბიჭებმა გერმანელ ჯარისკაცთა გვამებს მიწა მიაყარეს, მაგრამ ნიავს მაინც მოაქვს საშინელი სუნი და სუნთქვას გვიკრავს.

— ალბათ სადმე კიდევ დაგვრჩა მიწა მიუყრელი, — ვეუბნები დომენტის.

— შეიძლება! — ამბობს დომენტი, — დილაზე, გათენებისას უნდა დავათვალიეროთ.

მე და დომენტი თავაუღებლივ ვმუშაობთ. მესამე მუხლს პატარა ბლინდაჟს ვადგამთ, ეს დაგვიფარავს წვიმისაგან და ძილის დროსაც გამოგვადგება. ოფლი წურწურით ჩამოგვდის შუბლზე. დილამდე უნდა მოვასწროთ დახურვაც და შენიღბვაც.

22/V-43 წ. ამ ბოლო დროს კარგი ამინდები დადგა. გაზაფხულის ცხარე მზემ გამოანათა. ეტყობა მტრის თვითმფრინავებსაც გაუთბათ ზურგი, აფუსფუსდნენ, როგორც კრაზანებმა იციან გაზაფხულის თბილ მზეზე საბუდრიდან აშლა. „მესერშმიტების“ გარდა, ბომბდამშენებმაც დაიწყეს წანწალი.

მტრის არტილერიამაც მოუმატა სროლას, ყუმბარებს პირდაპირ სტანიცას უშენენ. ახლა უკვე დიდი სიფრთხილე გვმართებს. მტერი ცდილობს ჩვენი თავდაცვა დაანგრიოს და მერე ადვილად გადაგვთელოს.

ყოველდღე სამას-ოთხასი ბომბდამშენი თავს ესხმის ჩვენი არტილერიის პოზიციებს, რომელიც სტანიცის ბაღებშია შეფარებული და ჰაერში ერთი გაბმული ქუხილი დგას. ჩვენი საზენიტო ქვემეხები ვაჟკაცურად იგერიებენ მათ თავდასხმას... იცავენ არტილერისტებს და ბომბდამშენებს აიძულებენ ბომბები უწესრიგოდ ჩამოყარონ. ამიტომ ჩვენი ზარალი არც ისე დიდია.

3/VI-43 წ. ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. გერმანელთა თვითმფრინავებს იერიში მოაქვთ. რამდენიმე თვითმფრინავი გარეული ბატებივით ტრიალებს, ოთხი „იუნკერი“ კი გვბომბავს. თითქოს დედამიწა ინგრევაო, საზარელ გრიალს მოუცავს არემარე. მძიმე ბომბდამშენები გველეშაპივით წივიან ჩვენს თავზე და უთავბოლოდ ჰყრიან ბომბებს.

დომენტის „პეტეერი“ მიუბჯენია მკერდზე, მიჰყუდებია სანგარს და თვითმფრინავს უმიზნებს, რომელიც ახლა ზედ ჩვენს თავზე მოფრინავს და ტყვიამფრქვევს გვესვრის. უეცრად იგი ცეცხლსა და კვამლში ეხვევა და თავდაყირა მოექანება მიწისაკენ, ისმის საშინელი აფეთქების ხმაური. იმავე წამს ჩვენს სანგარში სხვა ოფიცრებთან ერთად ჩვენი ასეულის მეთაური ტრეტიაკოვი ჩამოდის. დომენტის მარჯვენას უქებენ, ულოცავენ გამარჯვებას. სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენზე არდგენენ.

5/VI-43 წ. დღეს ღრუბლიანი ამინდი დაიჭირა. არემარე ტირის, იცრემლება. არტილერია მაინც არ ისვენებს — არც ჩვენი, არც მტრისა. დედამიწა ზანზარებს და ღრუბლიან დილას შრაპნელის ბური ფარავს.

გარინდებული მივყუდებულვარ სანგრის კედელს, ლითონის ნაჭრები ბზუიან ისევ. ზოგი წვრილ ხმაზე; ზოგი უფრო ბოხად, სეტყვასავით ცვივიან ისინი ჩვენს გარშემო.

ერთი ნამსხვრევი საფეთქელთან მხვდება და თავს კედელს მარტყმევინებს. მუზარადმა აისხლიტა ლითონის ნაჭერი, რომელმაც კარდალა გახვრიტა და მიწაში ჩაერჭო. ამოვიღე. ხუთი სანტიმეტრი სიგრძისაა და სამართებელივით ბასრი.

9/VI-43 წ. ღრუბლიანი ამინდი აღარ გვცილდება. არემარე სულ სცრის ერთთავად, იცრემლება. ბუნებას ჩადრი მოუხვევია და დადუმებულა.

დღევანდელი დღე წყნარად ილევა. აღარც თვითმფრინავების ზუზუნი მოისმის, აღარც ბომბდამშენების მძიმე კვნესა. მხეცები ბუნაგში შემძვრალან, ექვსლულიან ნაღმტყორცნებსაც ხმა ჩაუწყვეტიათ.

მე კი ვზივარ ჩემს პატარა ბლინდაჟში და ფიქრები მიმაფრენენ ჩემს საყვარელ სამშობლოში.

ჩემო თბილისო, რა მადლიანია და ტკბილი შენი გახსენება. ახლაც, ამ წუთში გიგონებ და თვალწინ მიდგეხარ... გიგონებ და, ერთი ფიქრი მიფორიაქებს სულს, ვეღირსები თუ არა კიდევ შენს ნახვას.

15/VI-43 წ. გადახრუკული მინდვრები, საცოდავად შეტრუსული ჭეჭილი, ყუმბარებით გადათხრილი, ნანგრევებად ქცეული კრიმსკაია უხმოდ შესცქერის მახავით დაღვრემილ ცას, ჟუჟუნა წვიმა ცრემლებად ეპკურება და ასველებს, ნუგეშს აძლევს.

მაგონდება მშვიდობიანი ცხოვრება. აგერ აყვავებული სასირეთი, გადაშლილი ბაღნარებით, მწვანე კორდებით, ღრიალა თეძმით, მხიარული საღამოებით. აგერ ქოტიაც, ველოსიპედებით სეირნობა, შეჯიბრება. საღამოობით სტუმრად მივდივართ ბარნაბიანთ-კარში, კვირაობით ყარალაჯში ვესწრებით ჭიდაობას. აგერ ისიც, საფლავის ქვაზე დგას მეგობრებს შორის. ცისფერზოლებიანი კაბა აცვია ცისფერთვალებას. შემდეგ, მოგზაურობა თეძმის ხეობით რკონის ღვთისმშობლის ეკლესიაში. რა ბედნიერები ვიყავით ჩვენ იმ ღამეს...

21/VI-43 წ. დღიურების წერას ველარ ვასწრებ, არემარე ინგრევა. მტრის ავიაციას დიდი ზარალი მოსდის, მაგრამ ამ ზარალს მაინც არ ერიდება, ახალ-ახალ ბომბდამშენებს გზავნის ჩვენი თავდაცვის გასანადგურებლად.

დილას გაგვაფრთხილეს — ხვალ გათენებისას მტერი იერიშის მოტანას აპირებსო. გულისფანცქალით ველოდებით გათენებას ყველა მზად ვართ, ვნახოთ რა მოხდება...

ფრონტული ფოტო-ალბომიდან

ქართველი მწერლები დიდ სამამულო ომში

საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ბევრმა ახალგაზრდა პოეტმა ჩაიცვა წითელარმიელის ფორმა და წავიდა ფრონტზე. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ ქართველი მწერლები: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, სევერიან ისიანი, სანდრო ულენტი, შალვა სოსლანი, ალექსანდრე სულავა, ვლადიმერ უბილავა, ვაჟიკა ფხოველი, იაკობ ჩხაიძე, ნიკოლოზ კოპალიანი, ასლან ყოჩიაშვილი, გრიგოლ ხურციძე...

ომის დაწყებისთანავე იქმნება მრისხანე სინამდვილის ამსახველი ნაწარმოებები. პოეტმა ალ. აბაშელმა ომის პირველივე დღეებში დაწერა ლექსი „ცამ დაიქუხა გუშინ“. მეორე დღესვე დაიბეჭდა გ. ქუჩიშვილის ლექსები „პოეტი ჯარისკაცი“ და „ჩვენს პოეტებს“. კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა აისახა გ. აბაშიძის პოემაში „ძლევის ქედი“. ქართველი მწერლები მიდიოდნენ ფრონტებზე, ხვდებოდნენ ჯარისკაცებს და ქმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ასე შექმნა ი. აბაშიძემ „კაპიტანი ბუხაიძე“, „მისვლა საზღვართან“. ი. ნონეშვილმა — „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“. გ. ლეონიძემ — „შინმოუსვლელო, სადა ხარ?“, „არ დაიდარდო, დედაო“, კ. კალაძემ — „ქართველი ქალები“, ხ. ბერულავამ — „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი“...

1941 წელს რესპუბლიკის თეატრები დგამდნენ ქართველ დრამატურგთა ომის თემაზე დაწერილ ახალ პიესებს. იწერებოდა კინოსცენარები, მოთხრობები, იქმნებოდა სიმღერები...

ომის პერიოდში ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა უმრავლესობას მუშაობა უხდებოდა საფრონტო გაზეთების რედაქციებში. 349-ე მსროლელი დივიზიის გაზეთის „სამშობლოს სადარაჯოზე“ რედაქციაში მუშაობდნენ ლ. ჭიჭინაძე, ი. ნონეშვილი, ს. მხარგრძელი, ალ. შანიძე, ვ. დარასელი... ამ გაზეთის ხშირი სტუმრები იყვნენ: კ. გამსახურდია, ს. ჩიქოვანი, რ. ქორქია, მ. მრევლიშვილი, კ. ბობოხიძე.

საფრონტო გაზეთებში რედაქტორებად და კორესპონდენტებად მუშაობდნენ ვ. მაჭავარიანი, ა. სულავა, ნ. აგიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, გ. ლომიძე...

ქართველი მწერლები სამხედრო ნაწილებში ხშირად მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს. 1941-1944 წლებში 392-ე, 414-ე ქართულ დივიზიებსა და სამხედრო გემებზე ხშირად ჩადიოდნენ ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, ი. აბაშიძე, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, გ. ქუჩიშვილი, რ. ქორქია, ს. მთვარაძე, ა. თევზაძე, ს. თავაძე...

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია სამამულო ომში მყოფ ქართველ მწერალთა ფოტოდოკუმენტები, სამამულო ომის თემაზე მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ფონოჩანაწერები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში თვითონვე კითხულობენ.

გთავაზობთ ზოგიერთ ფოტოსურათს.

ალექსანდრე გვენცაძე,
საქართველოს კინო-ფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

სურათებზე: 1. ი. აბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, პ. ჩხიკვაძე, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი ეუფლებიან სამხედრო იარაღს.

2. ს. ეული (ქურიძე), შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი სტუმრად წითელარმიელებთან.

3. დ. შენგელაია და საფრონტო გაზეთ „გეროი როდინის“ თანამშრომელი უგრიუმოვი.

4. წითელდროშოვანი პოლკის დროშასთან (მარცხნიდან მეორე) დგას მწერალი ი. მოსაშვილი.

5. ლ. ჭიჭინაძე და ა. გომიაშვილი.

6. შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, გ. აბაშიძე, კ. კალაძე და სხვები ფრონტზე გამგზავრების წინ.

7. ი. აბაშიძე კავკასიის ფრონტის მოწინავე ხაზზე.

8. სამამულო ომის მონაწილე ქართველ მწერალთა ჯგუფი. სხედან: რ. მარგიანი, ვ. მაჭავარიანი, კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, თ. დოჩანაშვილი, ალ. გომიაშვილი, დგანან: ი. ნონეშვილი, ა. გეწაძე, ვ. ურჯუმელაშვილი, მ. ლებანიძე, თ. ჯანგულაშვილი, ე. მაისურაძე, ლ. სულაბერიძე, შ. ამისულაშვილი.



აკაკი გეწაძე

მუდამ გვახსოვდეს!

ჰიტლერელთა მხეცობა და არაადამიანურობა დანტეს რომ ენახა ამ ომში, უეჭველად ახალ „ჯოჯოხეთს" დაწერდა, ყველა ჯოჯოხეთზე საშინელსა და შემაძრწუნებელს.

ფერფლზე წვებოდა ფერფლი, სისხლს ეღვრებოდა სისხლი. ხშირად თოვლსაც კი ეკიდა ცეცხლი, სისხლისფერი იყო ომისდროინდელი თოვლი.

ოთხ წელიწადს სანგრებში ვიდექით და როცა ტყვია არ გვაწვიმდა, რიგრიგობით, იქვე წავთვლემდით ხოლმე ტანგაუხდელად. პირისახეზე ხშირად ოფლში აზელილი მტვერი ან ტალახი გვეცხო, ზოგჯერ სისხლიც, მაგრამ ეს ჩვენ არ გვამახინჯებდა, პირიქით, პირნათლად გამოვიყურებოდით ქვეყნის, კაცის და ღმერთის წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე.

რწმენის დიდი მზე გვინათებდა ომის ბურუსში. მაშინ, როცა ფაშისტები მთელი მსოფლიოს გასაგონად ამაყად გაჰყვიროდნენ, შვიდ ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე ტრიუმფალური მარშით გავივლითო, ჩვენი ჯარების პარადი გაიმართა. ჰოდა, თუ ვინმეს ამ დროს ჩვენი გამარჯვების რწმენა ოდნავ მაინც შერყეული ჰქონდა, კვლავ დაუბრუნდა იგი. სამამულო ომში გამარჯვებისათვის ამ პარადმა გრანდიოზული როლი შეასრულა. მე, ომგადახდილი კაცი, ჩემდათავად იმასაც კი ვიტყვი, მგონი, სწორედ ამ პარადის ჟამს დაბადებული დიდი რწმენის წყალობაა, იმ უძნელეს ომში რომ გავიმარჯვეთ საერთოდ.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩვენ ვმღეროდით:

«Пусть ярость благородная
вскипает, как волна,
Идет война народная,
священная война».

როცა ომზე რაიმეს ვწერთ, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან, სწორედ ამ სიმღერის სიტყვები გამოხატავს ყველაზე ზუსტად და მკაფიოდ მაშინდელ სულისკვეთებას, კერძოდ კი—„Ярость благородная" და «Священная война». ჩვენი კეთილშობილების, სიწმინდისა და სიმართლის მრისხანება იქცა ქვეყნის იმ მთავარ იარაღად, ფაშისტების ბოროტებას და კაცთმოძულეობას რომ დაუპირისპირდა და მოერია კიდეც.

ომის ცეცხლში იწვის და ინაცრება მრავალი რამ, ხოლო მრავალი რამ ფოლადივით იწრთობა. ომი დიახაც უბედურებაა, მაგრამ თავისებური გამოცდაცაა. ჩვენ ამ ძნელბედობის ჟამს ეს გამოცდაც ჩინებულად ჩავაბარეთ, ომის ჯოჯოხეთი წმინდად გავიარეთ და ბოლომდე ნამდვილ ადამიანებად დავრჩით.

ამ დიდ ბრძოლაში მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის რიგებში თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ღვიძლი შვილებიც. ქართველი მეომრები იცავდნენ ბრესტსა და მოსკოვს, კიევსა და ლენინგრადს, ყირიმსა და სტალინგრადს. 1942 წელს კი სვასტიკიანი თვითმფრინავების ჩრდილები კავკასიონსაც დაეცა. მაგრამ ციდან ნასროლი ეს ჩრდილები მალე გავაქრეთ, ჩვენი მთებისკენ წამობობღებულ სვასტიკიან ჯარისკაცებს კავკასიონის გადმოღმა ფეხის დადგმაც არ ვაღირსეთ.

ვაჟკაცებს ცეცხლოვან გზაზე გაჰყვნენ ქართველი ქალებიც, მავანმა სანიტრის ჩანთა გადაიკიდა, მავანი საზენიტო ქვემეხთან დადგა, მავანმა თითისტარის ნაცვლად სნაიპერის თოფი დაიჭირა ხელში, მავანი მზვერავად დადიოდა მტრის ზურგში, მავანი ღამეული ციდან ყუმბარებს აყრიდა ფრიცებს.

თექვსმეტი ათასი ქართველი ქალი იბრძოდა დიდ სამამულო ომში, ბევრ ქართველ მეფეს ამდენი ჯარი არც ჰყოლია.

მართალია, ჩვენს მიწა-წყალზე სვასტიკიან ტანკებს და ქვემეხებს არ უგრუხუნიათ, მაგრამ საქართველოც მთლიანად ომში იყო, თითქმის ყველა ქართველის ოჯახში გადიოდა ფრონტის წინა ხაზი. მაშინ თითქოს ჩვენს მთებსაც რუხი ფარაჯები ეცვათ, თოფ-იარაღი ეჭირათ და მიხაკისფერ ჭირს ყუმბარებისგან მოწყვეტილ ზვავებში მარხავდნენ.

საქართველოდან ფრონტზე წარგზავნილი ექვსასი ათასი კაციდან თითქმის ნახევარი შინ ვეღარ დაბრუნდა. თუნდაც ყირიმისა და ქერჩის ბრძოლებმა რამდენი ქართველი შეიწირა... იმ ბრძოლების მონაწილენი ხშირად იგონებენ, ორმოცდაორში შავი ზღვა პირიდან ცოფსა ჰყრიდაო, იმდენი სისხლი დაიღვარა, გვიკვირს, ზღვა მთლიანად სისხლისფერი რომ არ გახდაო.

ვინ მოთვლის, რამდენი უცოლშვილო ჭაბუკი და საპატარძლო ქალიშვილი დაიღუპა. ზოგი ოჯახიდან ხუთი და ექვსიც... მავანთა ოჯახი ძირფესვიანად ამოიძირკვა, ჩაქრა კერა. რას ვიზამთ, ომი სწორედ იმით არის უსაშინელესი უბედურება, რომ მის დიდ ცეცხლს სისხლის ზღვის მეტი ვერაფერი აქრობს.

ოცი მილიონი საბჭოთა ადამიანის სისხლმა ჩააქრო ფაშისტების გაჩაღებული ომის ცეცხლი. რამდენი დაჭრილი, დახეიბრებული და გაუბედურებული დატოვა ომმა! მოკავშირე სახელმწიფოებმა აღრიცხეს ომის ზარალი და დაადგინეს — გერმანიამ ეს ზარალი ნაომარ ქვეყნებს აუნაზღაუროსო. მაგრამ ომში მხოლოდ სოფელ-ქალაქები, ფაბრიკა-ქარხნები, ხიდები და ელექტროსადგურები, რკინიგზები და სხვა ნაგებობები როდი ინგრევა? ვინ მოთვლის, რამდენი კეთილი ფიქრის სხივი გაწყვიტა ტყვიამ, რამდენი დაუწერელი ლექსი, რომანი, პიესა, ბრძნული მეცნიერული აზრი დამარხა ყუმბარამ, რამდენი სიმღერა დააყრუა, რამდენი მხატვრის ახალი ფერი დაასამარა... ვინ აღრიცხოს ეს ზარალი?

აი, რა მსხვერპლის გაღებით მოვიპოვეთ გამარჯვება! ეს არ უნდა დაგვავიწყდეს არასოდეს!

1945 წლის 9 მაისს ყველა წითელვარსკვლავა მებრძოლის გულში ერთბაშად გათენდა, დიდი ხნის შემდეგ თითქოს ახლაღა დავინახეთ რა ლამაზი ყოფილა დილა, ყვავილები, მზეც სხვანაირი გვეჩვენა — უომარი, უკვამლო მზე, მშვიდობის მზე.

დიდი გამარჯვება საერთო ძალით მოვიპოვეთ და ერთიანი სიხარულიც თანაბრად გავინაწილეთ.

საბჭოთა ქვეყნის ახლანდელი მეთაური, თვითონაც ომის ქარცეცხლში ნამყოფი ლეონიდ ბრეჟნევი ჭეშმარიტად ბრძანებს, რომ „ტარი რაიხსტაგზე ატანილი ჩვენი გამარჯვების დროშისა ეჭირა მილიონობით ჯარისკაცის ხელს. იგი ეჭირათ იმათაც, ვინც გამარჯვებას შეეგება და იმათაც, ვინც გამარჯვებისთვის თავი გასწირა".

დამთავრდა ომი!.. მაგრამ არა, აქ შემთხვევით არ დამისვამს მრავალწერტილი! მხოლოდ ბრძოლები დამთავრდა, ორმხრივი ბრძოლები. ომი კი... ომი ასე ადვილად არ მთავრდება, იგი დიდხანს გრძელდება, იმის შემდეგაც, როცა ომის დამთავრებას ზეიმობს გამარჯვებული ქვეყანა. ნაომარი ადამიანებისთვის ომი სიკვდილამდე არ მთავრდება, ნაომარი ქვეყნისთვისაც კვლავ გრძელდება გადახდილი ომი. ომისდროინდელი ჭრილობებიდან კვლავ ჟონავს სისხლი...

ომის დატოვებული ტკივილი საუკუნეებს გაჰყვება.

როდესაც საძმო საფლავებთან თუ შინმოუსვლელთა ობელისკებთან ვდგებით, ვდუმვართ. ცოცხლები ვდუმვართ და... მკვდრები ლაპარაკობენ. ჩვენ გვესმის მათი იდუმალი ხმა. ეს დუმილი ქვემეხების გრიალზე მძლავრია. თითქოს ომში დაღვრილი მათი სისხლი ყვირის: ომი—ომს! ადამიანებო, იყავით ფხიზლად, ნუღარ დაუშვებთ, რომ დედამიწაზე გამეორდეს მსოფლიო ომიო!

არაა სწორი, თითქოს როცა ომი სისხლით წერს თავის ამბებს, კალმით ნაწერს მიმზიდველობა აკლდეს და არავინ კითხულობდეს, ანდა, როცა ქვემეხები გრიალებენ, მუზები სდუმანო. სამამულო ომში მეომრულად იბრძოდა მწერლის მახვილი სიტყვაც, ებრძოდა ომს, ამხნევებდა ჯარისკაცს, საბრძოლველად მოუწოდებდა სამართლიანობის დროშით. მაშინ მწერლის სიტყვაც საბრძოლო იარაღი იყო.

ზოგი ამბობს, დავივიწყოთ გარდასული ომიო. პირიქით, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღარასოდეს გამეორდეს იგი.

მირზა გელოვანი

ნუ მწერ...

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს.
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —

გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

1943 წელი

ნანა კანდელაკი

გარდასულ დღეთა გახსენება

ამას წინათ ჩემს არქივში ერთ წერილს ვეძებდი და ხელთ მომხვდა ქაღალდში კოხტად გახვეული, ომისდროინდელი საბუთები, სურათები... საოცარი მღელვარებით გადავათვალიერე ყველაფერი და დროჟამის გამო შეყვითლებულ, კომპოსტერით დაცხრილულ რკინიგზის ბილეთსა და სამივლინებო საბუთს დავაჩერდი. ომის დროს რკინიგზა გასამხედროებული იყო და როგორც რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერს — ინჟინერ-ლეიტენანტის წოდება მქონდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამაგზავნეს შორეულ ურალში. გამახსენდა იქ მუშაობა, შემდეგ თბილისისკენ გამომგზავრება. წამოიშალა ფიქრები და ერთი ეპიზოდი გამახსენდა:

1943 წლის ივნისი იყო, მოსკოვიდან — გზათა სამინისტროდან ბრძანება მომივიდა თბილისში დაბრუნებაზე — ორივე ფეხის მძიმე მოყინვის გამო.

ჩრდილოეთ ურალში გრძელი და სუსხიანი ზამთარი იცის. მზეს ისეთი სქელი ღრუბელი აქვს ამოფარებული, რამდენიმე თვის განმავლობაში დღის სინათლე სანატრელია.

მე მოუთმენლად მოველოდი ქაღალდს სამინისტროდან, რომ ჯერ სამკურნალოდ წყალტუბოში და შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის განკარგულებაში წავსულიყავი. მაგრამ ბრძანება რომ მაჩვენეს და ცრემლმორეულ ჩემს ამხანაგებს შევხედე, თვითონაც დავღონდი. მართლაც და იქაური წყალი უნდა შესვა, იქაურ ადამიანებთან პური უნდა გატეხო, იმ ყინვის სუსხი იგრძნო და ომის ურთულეს პირობებში, მძიმე მუშაობაში გამოწრთობილ ადამიანებს დაუმეგობრდე, რომ მიხვდე, რატომ დამწყდა გული მათთან განშორებაზე. ხალხი იქ სიტყვაძუნწია, მაგრამ ეტყობა სწორედ ამ მკაცრმა ბუნებამ ადამიანებში ოდითგან ჩანერგა ერთგულებისა და ერთმანეთის გატანის გაუმჟღავნებელი, საოცარი ჩუმი სითბო, რომელსაც მხოლოდ განშორებისას გაგრძნობინებენ.

ყავარჯნის გარეშე არ შემეძლო სიარული. ბარგი ბევრი კი არა მქონდა — ორი ხელი თბილი წინდა და სვიტრი, მაგრამ ზურგჩანთაში რომ ჩავყარე და წამოვიკიდე მხარზე, ძალიან გამიჭირდა, ამიტომაც გადაწყვიტა ხელმძღვანელობამ ექთანი გამოეყოლებინათ ჩემთვის თბილისამდე. ჩაგვსვეს მატარებელში და წავედით სვერდლოვსკისკენ, მერმე გავიარეთ ომსკი და ჩავედით ნოვოსიბირსკში, სადაც უნდა გადავმჯდარიყავით ტაშკენტისკენ მიმავალ მატარებელში.

სადგური სავსე იყო ხალხით. ზოგი ურალში მიდიოდა, ზოგი ვლადივოსტოკის მიმართულებით, ზოგიც ჩვენსავით ტაშკენტისკენ. რიგში ჩადგა ჩემი ექთანი ბილეთის და მივლინების შესამოწმებლად, იდგა ასე საღამომდე, ერთხელ მომაკითხა მხოლოდ, პურის და ძეხვის პატარა ნაჭრით დანაყრდა, ისევ გაიქცა, მაგრამ ვერაფერს გახდა, დავრჩით იმ დღეს იქ.

ვერ გააფორმა ექთანმა საბუთები და ბილეთი, ვერც მეორე და ვერც მესამე დღეს. მოვიქანცე მერხზე ჯდომით, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი, ქალს ფერი აღარ ჰქონდა დაღლილობისა და ფეხზე დგომის გამო. ამასობაში ფეხის გადახვევის დროც დადგა. წავედით მედპუნქტში. იქ ეტყობა ძალიან შევეცოდე და დამპირდნენ, ამ საღამოს გაგამგზავრებთო. ექთანს არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, ბოღმა აღრჩობდა ამ ორომტრიალში რომ ჩავარდა, რადგანაც წინ კიდევ სამი გადაჯდომა გველოდა— ორი მატარებელზე — ტაშკენტში და ბაქოში და ერთიც გემზე — კრასნოვოდსკში. ზურგჩანთას თავი მიაბჯინა მოქანცულმა და ჩათვლიმა.

ვიჯექი მერხზე და გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი. უმრავლესობა დაჭრილები იყვნენ, მათი გამცილებლები ან ლტოლვილები, რომლებითაც გაჭედილი იყო ომის დროს შუა აზიის, ურალის და ციმბირის სადგურები.

მოულოდნელად ვეებერთელა მოსაცდელი დარბაზის მეორე მხრიდან ჩვენი გულშიჩამწვდომი „სულიკო" მომესმა. ვიფიქრე, ხომ არ მელანდება-მეთქი და შიშმა შემიპყრო, ცივმა ოფლმა დამასხა სახეზე, ცრემლი მომაწვა. გამახსენდა, აქეთ რომ მოვდიოდი ის მძიმე მგზავრობა, შემდეგ ურალში მუშაობა, ორივე ფეხის მოყინვა, დავხედე ჩემ რუმბივით გასივებულ, ბანდით გადახვეულ ფეხებს და ლამის ავღრიალდი.

სიმღერა კი სულ უფრო ძლიერდებოდა, გეგონებოდათ „სულიკოს" სიტყვებს საგანგებოდ ჩამძახოდა ვიღაც ყურში და, ალბათ, ამან გამომაფხიზლა, ცრემლმორეულმა ვიყვირე რაც შემეძლო.

— ჰეი! რომლები ხართ, დამენახვეთ, ბიჭებო!

სიმღერა უცებ შეწყდა და თვალის დახამხამებაში ჩემ წინ ოთხი ახალგაზრდა გაჩნდა, მაგრამ იმათ შემხედვარს გული მომიკვდა: ერთი ცალფეხა იყო, მეორე ცალხელა და ორსაც ხელები ახვეული ჰქონდა. ისინიც გაოგნებულები მომჩერებოდნენ, მოგვიანებით მკითხა ერთმა:

— სადაური ხარ, გოგო?

— თბილისელი ვარ!

— ჰიტლერის დედა ვატირე, ეს რა დღეში ჩავარდნილხარ! — დამუშტული ხელი თავში შემოიკრა ცალფეხამ.

— ჩემზე უარესად თვითონა ხარ, რა გულს მიხეთქავ... — თავს ვეღარ მოვერიე, ჩემი მიწა-წყლის ბიჭები რომ დავინახე, გული ამიჩუყდა და ავტირდი. იმათაც ცრემლი მოერიათ. ჩვენი შემხედვარი ექთანიც აღრიალდა.

ამან სულ აშალა ბიჭები და ყვირილი, გინება და წყევლა მორთეს:

— ომის მომგონის ოჯახი დაიქცეს! ძაღლი მიაკვდეს იმის საფლავს!

— არც გაიხაროს ჩვენი გაუბედურებისათვის!

ხალხი გარშემო შემოგვეხვია, ზოგი რას გვეკითხებოდა, ზოგი რას, ნაცნობები ხართო? რა გატირებთო?

— ქართველები სულ ერთმანეთის ნაცნობები ვართ, ცოტანი ვართ და იმიტომა... — დაუბღვირა ცალხელამ ცნობისმოყვარეებს.

— აბა, მოუსვით ახლა აქედან და თქვენ საქმეს მიხედეთ! — ქართულად დაუტატანა იქ მყოფთ ცალფეხამ, თვალიც ისე დააბრიალა, გარშემო შემოკრებილნი მორიდებით აიწურნენ და გაიკრიფნენ.

რაკი მე ამდენი პატრონი გამომიჩნდა, ექთანი იმ საღამოს შინ გავისტუმრეთ. მოგვიანებით ბიჭებმა დაჭრილების ვაგონში რის ვაივაგლახით ამიყვანეს. ისეთი ამბავი იყო მატარებელში ჩასხდომისას, ბილეთის ნახვის თავიც არა ჰქონდა გამყოლს. საშინლად ვღელავდი, არც ბილეთი და არც საბუთები არა მქონდა გაფორმებული. ამიტომაც, ნოვოსიბირსკს რომ გავცდით, გამყოლს გამოვუტყდი, უბილეთო ვარ-მეთქი. იმან ამხედ-დამხედა, ხმა არ გაუცია და რომელიღაც სადგურზე შემიმოწმა ბილეთიცა და საბუთებიც. ასე რომ არა, პატრული აუცილებლად ჩამომსვამდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ჯარებმა გამარჯვებით დააგვირგვინეს სტალინგრადის ოპერაცია და ძლევამოსილად მიიწევდნენ წინ, განსაკუთრებული სიმკაცრე იყო იმ დროს მატარებლებზე.

ასე ვიმგზავრეთ ტაშკენტამდე, მგზავრებითა და დაჭრილებით გავსილ ვაგონში, მერმე კრასნოვოდსკში ჩავედით, იქიდან გემით —ბაქოში. ბაქოში, სადგურის მოედანზე, სრულიად შემთხვევით ჩვენი ბალეტის მსახიობი შემხვდა, ჩემი დიდი მეგობარი — ზურაბ კიკალეიშვილი. ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. იმ საღამოს ზურაბმა თბილისში გამომაცილა.

მეორე დღეს თბილისში ვიყავი, ჩემს საყვარელ თბილისში. სადგურში არავინ დამხვედრია. მე თვითონ არ მინდოდა, ასე გაჭირვებული დავენახე დედას, დას და მეგობრებს, ამიტომ არ შევატყობინე მათ, შინ რომ მოვდიოდი.

კიდევაც, უფრო გაეხარდათ, მოულოდნელად თავს რომ დავადექი. და მეც გამიხარდა, მათი აფორიაქება და ცრემლი ჩემს გარდა სხვას რომ არ დაუნახავს.

თენგიზ გოგოლაძე

რუსი ბიჭები

მოთხრობა

ომი მძვინვარებდა. მტერი წინ მოიწევდა. საბინაო კანტორის მმართველს, კალისტრატე წულაძეს დაავალეს მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით ეზოებში და მოზრდილი სახლების სარდაფებში თავშესაფრები მოეწყო. მისცეს სათანადო ინსტრუქცია და დაუწესეს ვადები.

ისედაც ქოთქოთა კაცს თავსატეხი გაუჩნდა.

ამდენ მოსახლეში ყველა ხომ არ დანებდებოდა უბრძოლველად და უმტკივნეულოდ.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მაინც ეწყობოდა თავშესაფრები.

განსაკუთრებით დიდი ომი გარდახდა ოთხსართულიან სახლში, ორიოდე წლის წინ რომ ააშენეს. ამ სახლს საკმაოდ ღრმა და დიდი სარდაფი ჰქონდა. მობინადრეებმა გადატიხრ-გადმოტიხრეს, ათასგვარი ხარახურით აავსეს.

ოთხსართულიანელთა წინააღმდეგობა როგორც იქნა გატყდა.

მაშინ კალისტრატემ გადაწყვიტა ამ სახლში სანიმუშო თავშესაფარი მოეწყო, რათა სხვა უბნის სახლმმართველები შურით ავსებულიყვნენ.

ნეტავი საიდან ჰქონდათ მობინადრეებს ამდენი ფეხმორყეული სკამი, მინჯღრეული ტახტი, ძველი კამოდი, რკინის საწოლი, სამოვრები, ჩაიდნები, პრიმუსები, ნავთქურები, ზედადგრები, დაჟანგული უთოები, ძველისძველი ქილები, ტაშტები, თუშფალანგები, ქოთნები, შუშის, თიხისა და ფაიფურის ქილები, კასრები, ხაპები, ყუთები და ვინ მოსთვლის! დახვავდა და რა დახვავდა! ქალები სწყევლიდნენ ჰიტლერსა და წულაძეს ამ არეულ-დარეულობისათვის.

ბევრი რამ გადაყარეს, ბევრი რამ შინ აზიდეს. სარდაფი გამოცარიელდა. მობინადრეებმა ბოქლომებიც მოხსნეს, კალისტრატემ ბრძანა, კარის დაკეტვა საჭირო არ არისო. სარდაფის კედლები კირით შეფეთქეს და ისე გამონათდა იქაურობა, უსახლკარო კაცი სიამოვნებით დაბინავდებოდა ამ „დარბაზებში". კედლებზე პლაკატები გააკრეს.

ამ სახლში, მეორე სართულზე, ოროთახიან ბინაში ვცხოვრობდით მე, დედა და ბებია. მამაჩემი ფრონტზე იბრძოდა, პირველსავე გაწვევაზე წავიდა, როგორც კომისარი.

კალისტრატე წულაძემ ბებიაჩემი სახლმმართველობაში დამლაგებლად გააფორმა და თან თავშესაფრის მეურვეობა მიანდო.

ზამთარი დაიჭირა ისეთი, ყინვა ქვას ხეთქავდა. ამბობდნენ, რუსეთსაც კი არ ახსოვს ასეთი ყინვებიო.

ჩვენი სახლის სადარბაზოს ერთი კარი ქუჩაში გადიოდა. მეორე — ეზოში. მობინადრეებმა მოილაპარაკეს და კარი ქუჩის მხრიდან დაკეტეს, რა საჭიროა ამდენი შესასვლელ-გამოსასვლელიო. ეზოში გამავალი კარის გვერდით კიბე სარდაფში ჩადიოდა. სარდაფი ახლა, მოგეხსენებათ, თავშესაფარი იყო, თავშესაფარი, რომელიც ჯერჯერობით არ დაგვჭირვებია.

მეშვიდე კლასში ვიყავი და დილით ადრე სკოლაში გავრბოდი. ფართო და ნათელ სკოლის შენობიდან სადღაც ძველ შენობაში გადაგვიყვანეს. ერთ მერხზე დაყუნცული ოთხი მოწაფე ერთმანეთს ვეკვროდით, ერთმანეთს ცოტათი მაინც ვათბობდით.

ერთ დილას, დათოვლილ ეზოში რომ ჩამოვედი, თვალი მოვკარი სარდაფის კიბეზე ამომავალ ჩემი ხნის ბიჭს. ჩემს დანახვაზე შეცბა და მომაჩერდა. დაძონძილი ყურებიანი ქუდი ეხურა, დაძონძილივე კურტაკი ეცვა. ერთმანეთის შეთვალიერება ვერც კი მოვასწარით, მეორე ბიჭი გამოძვრა და კურტაკიანს უყვირა:

— **Гришка, Гришка! Вася умирает!**

თავზარი დამეცა, ეს რა ხდება-მეთქი. ან ეს ბიჭები ვინ არიან, ანდა ის ვიღა არის, ვასია, რომელიც კვდება? „**Умирает!**" — შემზარავად მომესმა.

ბიჭები თავშესაფარში შეცვივდნენ.

გონს მოვეგე, შინ ავიჭერი და კარს მუშტი დავუშინე.

— რა მოხდა? — მკითხა შეშინებულმა დედაჩემმა.

— სარდაფში ვიღაც კვდება... ბიჭები იყვნენ... რუსი ბიჭები.

— ვიღაც კვდებაო?! — ბებიაჩემი მაშინვე შალს ეცა, თავზე მოიხვია, — სარდაფში ვინ უნდა იყოს!.. სარდაფში ვის რა უნდა!

დედაჩემი ფეხდაფეხ გამოგვყვა. სანამ სადარბაზოდან ეზოში გამოვიდოდით, ბიჭის განწირული ყვირილი გავიგონეთ:

— ხალხო... გვიშველეთ! — იმდენად სასოწარკვეთილი და შეშინებული ხმა ჰქონდა, ჟრუანტელმა გამცრა.

— რა გაღრიალებს? რა ამბავია? — ენერგიულად ეცა ბებიაჩემი.

სარდაფის კიბეზე კიდევ რამდენიმე ბიჭი დავინახეთ, ჩამოძენძილი, პირუბანელი, ჭუჭყიანი ბიჭები.

ბებიაჩემს არაფერი უთქვამს, სარდაფს მიაშურა. მე და დედაჩემი ფეხდაფეხ მივყევით. და აქ ვნახეთ სანახავი: ათამდე გაზინტლული ბიჭი. ერთი მათგანი ნარზე იწვა, რომელიც განგაშის დროისთვის პატარა მობინადრეებისათვის საგანგებოდ გაეკეთებინა კალისტრატე წულაძეს. ბიჭებს ძონძი-კონძი დაეყარათ და ზედ იწვა სიცხით გათანგული მაწანწალა.

ბებიაჩემი შეჩერდა, ჯერ ავადმყოფ ბიჭს დახედა, მერე გარშემო მყოფთ სწრაფად შეავლო თვალი და ჩემსკენ გამოიხედა.

— სანდრო, ავარდი შინ, საბანი ჩამოიტანე... მუთაქაც არ დაგავიწყდეს.

— შინ ავიყვანოთ, დედა... ბავშვი იწვის... — შეებრალა დედაჩემს და თვალში ცრემლი მოადგა.

— ტიფი არ ჰქონდეს... ბიჭს რას უშვრები! — თადარიგი დაიჭირა ბებიაჩემმა.

სწრაფად ჩამოვიტანე საბანი და მუთაქა.

იმ დროს სამუშაოზე დაგვიანებისათვის მკაცრად სჯიდნენ. დედაჩემი კი ისეთ სამსახურში იყო, უთუოდ უნდა წასულიყო.

ბიჭებს მე და ბებიაჩემი შევრჩით.

უმალ გავვარდი და უბნის ექიმი მოვიყვანე. ექიმმა მორიდებით ჩაუარა გაზინტლულ ბიჭებს და ავადმყოფს მიუახლოვდა.

— საიდან არიან, ვინ არიან?! — გაკვირვებით ჰკითხა ბებიაჩემს.

— საცოდავები რუსეთიდან არიან... ჰიტლერს ამოუწყდეს ოჯახი ჩვენი დარბევისა და აწიოკებისათვის! არ ვიცი, რა უნდა ჰქნან ამ საცოდავებმა! ნახეთ, ექიმო, თუ ტიფი არ არის, შინ ავიყვანთ... მაგას კი ავიყვანთ, ამათ რა ვუყოთ?!

ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი და თქვა:

— კარგი იყო საავადმყოფოში მოგვეთავსებინა, მაგრამ... გზაში არ შემოგვაკვდეს!.. ძალიან მძიმე მდგომარეობაა... ფილტვების ანთება აქვს. ავადმყოფი იყოს აქ, ჩაათბუნეთ... პოლიკლინიკიდან ექთანს გამოვგზავნი, ნემსს გაუკეთებს. მეც ხშირად შემოვივლი... სხვა რა შემიძლია...

ექიმი გავაცილეთ. ბებიაჩემი ბიჭებს მიუბრუნდა.

— ვასია ჩვენსა უნდა ავიყვანოთ... აქ ვერაფერს ვუშველი.

ამის თქმა იყო და ბიჭები ეცნენ ავადმყოფს, საბანში შეახვიეს, აიტაცეს და გამოგვყვნენ. ყველას არ მოუყავდა, მაგრამ ყველანი კი მოგვდევდნენ.

შინ შემოხროვდნენ, მორჩილად, მიამიტად... ძველ დივანზე, სადაც მამაჩემს ეძინა ხოლმე, დააწვინეს ვასია.

როგორც კი ამხანაგი საიმედო ჭერქვეშ და საიმედო ხელში დაიგულეს, თავიანთი თავიც გაახსენდათ.

— ბებია, იქნებ რამე გაქვთ საჭმელი?

საჭმელი!

დედაჩემს ექვსასი გრამი პური ეძლეოდა, ბებიაჩემს ხუთასი, მე, როგორც კმაყოფაზე მყოფს — ოთხასი. კილონახევარი პურიდან ნახევარზე მეტს მე მაჭმევდნენ. სად იყო დასატოვარი!

და ამ დროს ათი ბიჭი, ათი დამშეული ადამიანი გვთხოვს საჭმელს. პური არა მაქვსო, საცოდავად მოუბოდიშა ბიჭებს ბებიაჩემმა, თქვენ მოგიკვდეთ ჩემი თავიო, მკერდზე ხელი დაიკრა. შავი დღისათვის გადანახული ლობიო გამოიტანა და შეადგა ნავთქურაზე. როდის რა იქნებოდა!

ჩვენს შეკითხვებზე ძუნწად და უხალისოდ იძლეოდნენ პასუხს. ამასობაში მე ყველა მათგანი გავიცანი: კოლკა მაზუროვი, ლიოვა პანტუხოვი, ვალოდია ჩიჟიკი, საშა საბიროვი, ალიოშა ხრამცოვი, მიტია ბოჩინინი, იაშა მალიშევი, პეტია მარკოვი და გრიშკა ხმელიოვი..., ვასია ბოჩარიოვი სიცხით იწვოდა.

ბებიაჩემი ავადმყოფს დასტრიალებდა, ექიმის ყველა მითითებას ასრულებდა.

სამზარეულოში ლობიო იხარშებოდა.

კუჭდამწვარი ბიჭები ვეღარ ისვენებდნენ.

ალიოშა ხრამცოვი, მიტია ბოჩინინი და გრიშკა ხმელიოვი სადღაც გაქრნენ. შინიდან გავიდნენ და კარგა ხანს აღარ დაბრუნებულან. ბებიაჩემმა მოიკითხა, სად წავიდნენო. ბიჭები დუმდნენ, მხრებს იჩეჩავდნენ.

ბებიაჩემმა რეცეპტი მომცა, ფული გამატანა და აფთიაქში წავედი.

არ თოვდა, მაგრამ ძალიან ციოდა. პალტოს საყელო წამოვიწიე, მოვიბუზე და ისე გავწიე უახლოესი აფთიაქისკენ. უცებ ყვირილი შემომესმა. ბიჭები საიდანღაც გამოცვივდნენ. ვიცანი „ჩვენები" — ალიოშა, მიტია, გრიშკა. სათითაოდ თითო პური ჩაებღუჯათ და თავქუდმოგლეჯილი მორბოდნენ. ბრბო ყვირილით მოჰყვებოდა. ხალხში მილიციელიც ერია. ხელი იარაღის ბუდეზე წაევლო და ალბათ ვერ გადაეწყვიტა, ამოეღო თუ არ ამოეღო რევოლვერი.

კედელს ავეკარი. ბიჭები ისე იყვნენ დაფეთებული, ვერ შემნიშნეს.

მოსახვევში მარდად გასხლტა ალიოშა, მიტიას ფეხი დაუსხლტა, მაგრამ თავი შეიკავა და ისიც თვალს მიეფარა, გრიშკა კი გაიშხლართა. პური ხელიდან გაუვარდა და მოყინულ ქვაფენილზე დაცურდა. წამიც და ბრბო ზედ გადაუვლიდა...

ბიჭს სხვაზე ადრე მილიციელი ეცა და ბრბოს არ დაანება. ქეჩოში წაავლო ხელი. წამოაყენა და წაათრია. შემეცოდა გრიშკა. ძალიან შემეცოდა. ლამის ავტირდი.

ხალხი ერთ ადგილზე გაქვავდა და ბიჭის ბედი მილიციელს მიანდო. გრიშკა კი მორჩილად და საცოდავად მისდევდა, აბუზული, ჭუჭყიანი, ჩამოფლეთილი.

უცებ კანკალი ამივარდა, თავი ვეღარ შევიკავე და შევყვირე:

— გიხარიათ ხომ?! გიხარიათ, არა?!

მერე ადგილს მოვწყდი და მილიციელს ავედევნე.

— გაუშვი, გაუშვი, გაუშვი!

მილიციელი შეჩერდა. გრიშკაც შეჩერდა, ქეჩოში კი ისევ მაგრად ეკიდა ხელი. მილიციელმა გადმომიბღვირა.

— ვერა ხედავთ, რა დღეშია?.. შია, სწყურია!... — ვღრიალებდი და ცრემლი დაპაღუპით ჩამომდიოდა.

მაგრამ მილიციელმა ჩემი ვედრება არ შეისმინა, გრიშკა ხმელიოვი მილიციაში წაათრია.

შინ აღელვებული დავბრუნდი.

ექთანი მოსულიყო, ავადმყოფისთვის ნემსი გაეკეთებინა და დივანთან იჯდა.

ბებიაჩემი ცალკე გავიხმე და ყველაფერი ვუამბე. არაფერი არ მითხრა, თბილ ფეხსაცმელში წაყო ფეხები, პალტო ჩაიცვა, შალი მოიხვია და ოთახში შებრუნდა.

— იცით, მე ცოტა ხნით უნდა წავიდე..., შეგიძლიათ დარჩეთ ავადმყოფთან? — ჰკითხა ექთანს, მაგრამ პასუხს არც კი დაელოდა, თავად მიუგო: — უნდა დარჩეთ, მეტი გზა არ არის.

ექთანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ბიჭები არ ჩანდნენ. ალბათ სარდაფს მიაშურეს.

ბებიაჩემმა ნავთქურა ჩააქრო, ლობიო ნავთქურაზევე დატოვა.

— მალე მოვალ, — დამიბარა და კარი გაიჯახუნა.

დერეფანში ვიდექი, რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. ექთანი უძრავად იჯდა ავადმყოფთან და მე მომჩერებოდა. მე კი გული საგულეს ვერ ჩავიგდე.

ვასია ხროტინებდა, მძიმედ სუნთქავდა და ეს უფრო მიკლავდა გულს.

ნეტავი რა დღეშია ახლა გრიშკა ხმელიოვი? ალბათ ყველაფერს დააფქვევინებდნენ, მილიციიდან მოვლენ და ამ ჩვენს ბიჭებს წაიყვანენ.

შინ ვეღარ გავძელი, ქუდი ჩამოვიფხატე, ეზოში ჩავედი და სარდაფს მივაშურე. სარდაფის კარი შიგნიდან დამხვდა დაკეტილი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ალბათ შეშინდნენ ბიჭები. იქნებ მე მაინც გამიღონ? დავუბრახუნე, ხმაც გავაგონე. კარი მაინც არ გამიღეს.

ამ დროს ჩქარი ნაბიჯების ხმა გაისმა და გამოჩნდნენ ბებიაჩემი, კალისტრატე წულაძე და ერთი უცნობი მამაკაცი.

— ჩაიკეტნენ, კარს არ აღებენ, — ვუთხარი მათ მოახლოებისთანავე.

მღელვარება წულაძესაც ეტყობოდა, კიბეზე ჩავიდა და კარზე დააკაკუნა. ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ნამდვილად აქ არიან? — შემომხედა და მერე ხელი ჩაიქნია, — აბა შიგნიდან ვინ ჩაკეტავდა კარს!. — მერე მუშტი დაუშინა.

— გააღეთ კარი! ხელს არ გახლებთ... არაფერს დაგიშავებთ... ბიჭებო!.. ბავშვებო!..

ჯერ მეგონა თუ კალისტრატე წულაძეს რაიმე საალერსოს თქმა შეეძლო. მაგრამ „ბიჭებო" და „ბავშვებო" ისე თქვა, კაცს გული აუჩუყდებოდა.

საალერსო სიტყვებმაც არ გასჭრა, არაფერმა არ გასჭრა.

განბილებული კალისტრატე იმ უცხო მამაკაცს მიუბრუნდა.

— წავიდეთ მილიციაში.

ბებიაჩემმა ავადმყოფს ახედა.

ამასობაში მეზობლები გამოჩნდნენ. ყველაფერი ვუამბე. მეზობლებმა თქვეს: ლტოლვილებს მთელი ჩვენი ქალაქი კარს უღებს, ხალხი ბინებს უთმობს და ამათაც უნდა მივხედოთო. სცადეს, ეგებ როგორმე გავაღებინოთ კარიო, მაგრამ სარდაფიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

მილიციას ველოდით. ფეხს არ ვიცვლიდით. ბებიაჩემმა ორჯერ ჩამომაკითხა. არც მილიცია ჩანდა, არც კალისტრატე, არც ის უცნობი კაცი.

ბოლოს, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კალისტრატესთან და იმ უცნობ კაცთან ერთად გრიშკა ხმელიოვი დავინახე. გრიშკამ შემომხედა და რაღაც სევდიანად, მორცხვად გამიღიმა, მომიახლოვდა და ხელი მხარზე მომარტყა:

— გმადლობთ, ძმაო! — ეს მითხრა და სარდაფის კიბეს მიაშურა.

— გააღეთ კარი, ძმებო... მე ვარ, გრიშკა!

ამის თქმა იყო და კარის ურდულმაც გაიხმაურა. აღტაცებით შეხვდნენ ბიჭები. გრიშკამ სარდაფის კარი ფართოდ გააღო და ყველას დაგვიძახა:

— შემოდით!

უნდა გენახათ, როგორ შეათვალიერა კედელთან ატუზული ბიჭები კალისტრატე წულაძემ. ასე მეგონა, აი ახლა ხელებს მიიფარებს სახეზე და აქვითინდება-მეთქი.

გავიგონე, მიტია ბოჩინინმა როგორ წაუსისინა გრიშკა ხმელიოვს:

— ესენი ვინ მოიყვანე?

— ჩუმად! — უთხრა გრიშკამ და მაშინვე მიაჩუმა მეგობარი.

კალისტრატე წულაძე ჯერ ჩუმად იდგა. მერე აღელვებული ხმით მიმართა ბიჭებს:

— ჩვენთან ქალაქში არის ბავშვთა სახლი... თქვენ ყველას იქ წაგიყვანთ... ჩაგაცმევენ, გაჭმევენ. თბილად იქნებით... იქნებ გინდათ ისევ ასე იწანწალოთ?

დუმილი ჩამოვარდა. არ ვიცი, ეს თანხმობას ნიშნავდა ბიჭების მხრივ თუ ვერ გადაეწყვიტათ.

გრიშკა ხმელიოვმა მე შემომხედა.

— მერედა ვასია?! — შეშფოთებით მკითხა მან.

— ცოტა უკეთ არის... ის ჩვენთან დარჩება. — იმედიანად მივუგე.

— გმადლობთ, ძმაო! — კიდევ ერთხელ მითხრა, მხარზე ამჯერად უფრო ძლიერ მომარტყა ხელი.

და ცოტა ხანში დაცარიელდა ჩვენი სარდაფი.

* * *

იქნებ სჯობს დაწვრილებით არც გავიხსენო ის საზარელი დღეები, როცა ვასია ბოჩარიოვს ვერაფერი ვუშველეთ...

თხუთმეტი წლის შემდეგ კი მისი პატარა საფლავის გვერდით მეორე საფლავი გაიჭრა: იქ ბებიაჩემი დავკრძალეთ.

მას მერე კიდევ გავიდა დრო და ერთ დღეს შინ მეწვია ელეგანტურად ჩაცმული, წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი. გრიგოლ ხმელიოვი ვარო, გრიშკა ხმელიოვი, თუ გახსოვართო. ღიმილით გამომიწოდა ხელი. შევხედე და მაშინღა აღმოვაჩინე მის თვალებში ის გრიშკა. მოვეხვიეთ და მხურვალედ გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ჩემმა მეუღლემ მონაყოლით იცოდა, ვინ იყო გრიშკა, იცოდა იმ მაწანწალა ბიჭების ამბავიც, ომის ქარიშხალმა ჩვენს ქალაქში რომ გადმორეკა ჩამოძენძილნი, მშიერ-მწყურვალენი, დაბნეულნი.

დედაჩემს სიხარულის ცრემლი უელავდა თვალებში, ასე კარგად, ასე კეთილად რომ წარმოგვიდგა იმ ბიჭებიდან ერთი მათგანი. გრიგოლ ხმელიოვი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გამხდარიყო.

შემდეგ, როცა სუფრას მივუსხედით, გრიგოლმა გვითხრა დანარჩენი ბიჭების ამბავი.

კოლკა მაზუროვი მოსკოვის მეტროპოლიტენის ინჟინერი ყოფილა, ლიოვა პანტუხოვი — საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ეკონომისტი, ვალოდია ჩიჟოვი — ხარკოვის ერთ-ერთი ქარხნის პარტბიუროს მდივანი, საშა საბიროვი — საავიაციო ქარხნის ინჟინერი, ალიოშა ხრამცოვი — ამწყობი ზეინკალი, მიტია ბოჩინინი — ფოლადის მდნობელი, პეტია მარკოვი ფეხბურთელთა მწვრთნელი...

გრიგოლმა მთხოვა ვაკის სასაფლაოზე წავსულიყავით, ვასია ბოჩარიოვის საფლავზე. გრიგოლმა ბლომად ყვავილები იყიდა.

მანქანა სასაფლაოს კართან გავაჩერე. გადმოვედით და საფლავებს შორის ბილიკს დავადექით. რაც უფრო ღრმად შევდიოდით ნასაფლაოზე, მით მეტი მდუმარება სუფევდა. ნიავი დროდადრო ხის ფოთლებს აშრიალებდა, მერე გადიკარგებოდა, ისევ დაუბრუნდა...

— ვასია, ვასია! — როგორც იყო ხმა ამოიღო გრიგოლმა. ჩუმად, ნაღვლიანად ამოიგმინა დაბოღმილმა კაცმა.

მაგრამ სანამ ჩვენების საფლავთან მივიყვანდი, გეზი შევცვალე და ერთ საფლავთან შევაჩერე იგი. გრანიტის კედელზე, რომელიც საფლავის თავთან იყო აღმართული, მამაკაცის ოვალური სურათი მოჩანდა.

— გახსოვს? — ვკითხე ხმელიოვს.

იგი სურათს დააკვირდა, ვერ გაიხსენა და უარის ნიშნად გააქნია თავი. მაგრამ კიდევ ერთხელ უფრო დაბეჯითებით დააცქერდა და წამოიძახა:

— ის არის! —სახე მოეღრუბლა, — კარგი კაცი იყო... რა დამავიწყებს!..

გრიგოლმა ხელში ჩაბღუჯული ყვავილებიდან რამდენიმე ამოარჩია, საფლავისკენ გადიხარა და მიწაზე სათუთად დააწყო.

ერთხანს მდუმარედ ვიდექით კალისტრატე წულაძის საფლავთან, მერე გზა განვაგრძეთ.

ჩვენების სასაფლაო საგულდაგულოდ გვქონდა მოვლილი. რუსულად ბრწყინავდა წარწერა ვასიას საფლავზე, ბებიაჩემის საფლავს ქართული შვენოდა. ორივე საფლავს დაბალი ცოკოლი ჰქონდა შემოვლებული და უხვად გაფურჩქნულიყო ვარდი.

— ვასია, ვასია! — თავი გააქნია გრიგოლმა და რაც ყვავილები ჰქონდა, ორივე საფლავზე მიმოფანტა.

ვიდექით, ვდუმდით. საკუთარი გულის ფეთქვას ვუსმენდით. მერე გავიგონე გრიგოლ ხმელიოვის ხმადაბლა ნათქვამი:

— გმადლობთ, ძმაო!...

ასე მეგონა, აი ახლა მხარზე მომხვდებოდა მისი ძმაბიჭურად მოქნეული ხელი. შევხედე, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ხელს ჩამოსართმევად მიწვდიდა.

შინმოუსვლელის დედა.

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ვახტანგ გორგანელი

სიმღერა სიცოცხლეზე

მახსენდება, ერთხელ მტრის ალყაში მოვხვდით.

...ზამთრის გამთოშავი ქარია, ყინვა ძვალ-რბილში ატანს, მაგრამ ფილონოვს მკერდი ისე გაუღეღია, თითქოს გავარვარებულ ღუმელთან მჯდარიყოს; ტატიანოვი ფარაჯის კალთით თოვლიან შუბლს იწმენდს, სტარიკოვსკისა და მე ქუდები ხელში გვიჭირავს და ერთმანეთს შევცქერით. ახლა ყველას ერთი აზრი გვიტრიალებს თავში, რა ვქნათ, რა ვუყოთ, როგორ გავიდეთ გარემოცვიდან და ჩვენს ნაწილებს შევუერთდეთ.

— მტრებს ცოცხლები აღარ ვგონივართ, თორემ არ მოგვეშვებოდნენ, ღამემ გვიშველა, — ამბობს სტარიკოვსკი და თან თვალებს ისე აბრიალებს, თითქოს ჩვენ ვიყოთ ყველაფერში დამნაშავე.

— ამხანაგო ლეიტენანტო, დილამდის თუ არ გავასწარით, მერე ღმერთმა იცის, რა მოხდება.

ფილონოვს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ტატიანოვმა სიტყვა ბოლომდის აღარ აცალა და შეშინებულივით წამოიძახა:

— მოკინოვი არა ჩანს, ხომ არაფერი მოუვიდა?

ფილონოვი ელდანაკრავივით შეტრიალდა და სანგარის გასავალს წელში მოხრილი გაჰყვა. უკან მე და ტატიანოვი ავედევნეთ.

მოკინოვი მძიმედაა დაჭრილი, თვალები დათხრილი აქვს, ორივე ხელებიდან სისხლი სდის. ჭრილობები შევუხვიეთ, როგორც იყო გონზე მოვიდა.

— ძმებო, ცოცხლები ხართ?.. მე კი... მაპატიეთ, მეტი ვეღარ შევძელი... — ბევრი რამის მთქმელი იყო ეს სიტყვები და მართლაც, როგორც კი ტატიანოვმა სანგრის იქით გადაიხედა, ექვს წირვაგამოყვანილ გერმანელს მოჰკრა თვალი, რომელთა გაციებული სახეები ცისკენ იყო მიმართული და თითქოს ვიღაცას გაოცებით ეუბნებოდნენ: აქ რა გვინდაო.

მოკინოვს წელან მოესწრო ექვსი ფაშისტის უხმაუროდ მოხრჩობა, როცა მტრის ტანკები მოგვადგნენ.

მოკინოვმა ტუჩები აამოძრავა. წყალი შევასვით, ცოტახნის შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა: „მე ვეღარ გადავრჩები... თქვენ მაინც უშველეთ თავს“.

მოკინოვის ამ სიტყვებზე მე და ფილონოვმა იქით მივატრიალეთ თავი და ცრემლები ფარაჯის სახელოთი შევიმშრალეთ.

მოკინოვს გარმონზე უყვარდა დაკვრა, სახლიდან ჰქონდა წამოღებული გარმონი და სულ თან დაჰქონდა. ახლაც ეს გარმონი გვერდით უდევს.

შუაღამემ რომ მოატანა, ლეიტენანტმა გვითხრა: გზა მხოლოდ ერთია, დაღმა რომ ხევი მიდის, ამას უნდა გავყვეთ, დანარჩენს საქმე გვიჩვენებსო.

მოვემზადეთ, თუმცა რა გვაქვს მოსამზადებელი, ავტომატებში უკანასკნელი ტყვიები ჩავაწყვეთ და დავიძარით. მოკინოვი მე წამოვიკიდე, ფილონოვმა მისი გარმონი აიღო.

ერთმანეთს ვენაცვლებით, ერთორ ადგილას სროლა აგვიტეხეს. როგორც იყო, ჩვენს ბატალიონს მივაგენით. გვეგონა, სამშვიდობოზე გამოვედით, მაგრამ რა სამშვიდობოა, ისიც მტრის გარემოცვაშია მოქცეული. ცოცხლები აღარ ვეგონეთ. მივედით თუ არა, ბატალიონის მეთაურმა, უფროსმა კაპიტანმა ლაფშინამ რამდენიმე მებრძოლი ამოგვარჩია და ცალკე გაგვიხმო.

უფროს კაპიტანს მარჯვენა ხელი მთლიანად ფარაჯაში დაუმალავს, თავიც შეხვეული აქვს. მისი შავგვრემანი სახე და გრძელი ულვაშები ერთი შეხედვით გაფიქრებინებს, რომ კავკასიელი უნდა იყოს, მაგრამ ურალიდანაა. დაბალ-დაბალია, ჩასკვნილი, საოცარი გამოხედვა აქვს, მით უმეტეს ახლა ქორივით აბრიალებს თვალებს. ეტყობა ჭრილობები ძალიან აწუხებს, წამდაუწუმ ტუჩებს იკვნეტს და კბილებს აღრჭიალებს. მეთაურებს ცალ-ცალკე გამოჰკითხა, ვის რამდენი მებრძოლი ჰყავდა დარჩენილი, ბოლოს თქვა:

— მდგომარეობა* ნათელია, ჩვენს გარშემო მტერია, გათენებამდე უნდა გავიდეთ აქედან, ამ ხევს დავყვებით, ვოლგაზე გაგვიყვანს, იქ კი ნაპირ-ნაპირ უნდა ავუყვეთ მდინარეს. თუ მტერს შევეფეთეთ, ან სიცოცხლე ან სიკვდილი! ორი მეტყვიამფრქვევე მაღლა, ხევის მარჯვნივ და მარცხნივ დადგებიან, ცეცხლს გახსნიან, ამით მტრის მთელი ყურადღება მათკენ გადავა, ჩვენ ამ დროს დავტოვებთ ხევს.

შევუდექით თადარიგს. მეტყვიამფრქვევეები—ტატიანოვი და მესამე ასეულის მებრძოლი დოლგოვი ლაფშინამ თავისთან დაიტოვა, ალბათ ამათ დაავალებს ცეცხლის გახსნას. გარემოცვიდან გასვლა ადვილი როდია, მაგრამ ტატიანოვისა და დოლგოვის ამოცანა ახლა ყველაზე მძიმეა, ორმოცი კაცის სიცოცხლეს ორი კაცი უნდა შეეწიროს, სხვა გამოსავალი არ არის.

ტატიანოვს ერთი შევხედე და მკერდში რაღაცა ჩამწყდა. ნუთუ ეს შეხვედრა უკანასკნელია!

ტატიანოვმა პირველად მოკინოვი გადაკოცნა, მე და ფილონოვს ერთად მოგვხვია მკლავები, ლოყა ლოყაზე მოგვადო, [illegible] ნიკაპთან ამოგვკრა, შეგვაჯანჯღარა, პატარა ბავშვებივით თმაზე ხელი გადაგვისვა, დაგვკოცნა და ტყვიამფრქვევს დასწვდა. იმ სიცივეში ტიტველი ხელები რომ დავუნახე, ჩემი ტყავის ხელთათმანები გავუწოდე, არ აიღო, უხმოდ მანიშნა, მე რაღად მინდაო, როგორც იყო, ჩავაცვი. მალე ხევის მარცხნივ და მარჯვნივ ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ. მტრებმა პასუხი არ დააგვიანეს. ცეცხლის დუელია, მტრის მთელი ყურადღება ტატიანოვზე და დოლგოვზეა გადატანილი. ვოლგისკენ დაქანებულ ხევს მივდევთ, მივდევთ კი არა, ხან რას წამოვკრავთ ფეხს და ხან რას, მივდივართ, მივცოცავთ, მივსრიალებთ...

მოკინოვი ხმასაც არ იღებს, უძლებს ტკივილებს, ჩემს კისერზე მისი შემოჭდობილი ხელები ისე ვარვარებენ, ასე მგონია, ცეცხლი მაქვს შემოვლებული. ჯერ რა ვიყავით და გზა-გზა კიდევ უფრო შევთხელდით... როგორც იყო სამშვიდობოს გავედით, მაგრამ მოხდა საოცრება, ჩვენიანებს საიდუმლო ნიშანი რომ ვერ ვუთხარით, კინაღამ ამოგვწყვიტეს, ბოლოს ხელებაწეულები მიგვიყვანეს შტაბში. იქ კი ფილონოვმა ვეღარ მოითმინა და აყვირდა, ექიმიო.. მივვარდი ფილონოვს, მინდოდა მივშველებოდი მოკინოვის ძირს დასვენებაში... როგორც იყო, ძლივს ავხსენი სიცოცხლეზე ჩაბღაუჭებული მოკინოვის გაციებული ხელები.

მიწას თხრა დავუწყეთ, ვერა და ვერ გავთხარეთ, ისე იყო გაყინული, ბოლოს თოვლით გადანამქრული სანგარი ჩავასუფთავეთ, შიგ ჩავასვენეთ მოკინოვი. ჯერ ვიფიქრეთ გარმონიც შიგ ჩავატანოთ, მაგრამ ფილონოვმა არ დაგვანება, ისეთის ხელში იყო, მაგის დადუმება ცოდვაო.

მებრძოლებს შორის მოვიკითხეთ, გარმონზე დაკვრა ვინ იცოდა, ერთი დაბალ-დაბალი შავტუხა ახალბედა მებრძოლი მოგვიყვანეს.

ფილონოვმა გვარი და სახელი ჰკითხა, მერე უცნაურად ჩახედა თვალებში, ალერსიანად მიმართა:

— აბა, შენ იცი, ბორის მიხაილოვ, ეს გარმონი კარგ ბიჭს ეჭირა ხელში, სულ სიცოცხლეზე მღეროდა, შენც სულ სიცოცხლეზე უნდა იმღერო. ამ გარმონს ბერლინამდე თუ მიიტან და იქ იტყვი სიცოცხლის გამარჯვების სიმღერას, მაგის პატრონიც გაცოცხლდება.

ფილონოვმა ხიშტით გარმონს წააწერა „მოკინოვი“, „სტალინგრადი“ და გარმონი ახალ პატრონს გადასცა. თან უთხრა: — გაწელე ახლა!

* * *

1945 წლის 9 მაისს, როცა ფაშისტური გერმანიის დამარცხების ნიშნად პირველი სიხარულის მაშხალები აიჭრა ცაში, მე მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ისევ ფრონტიდან მოყოლილი მეომრის ფორმა მეცვა. დამთავრდა ომი და აღარც ჩამიცვამს.

იმ დიდებით მოსილ ცხრა მაისის გაზეთში ერთი სურათი ვნახე: დამარცხებული რაიხსტაგის წინ საბჭოთა მებრძოლებს ზეიმი აქვთ, ერთ მეომარს ხელში გარმონი უჭირავს, რაც შეუძლია სწევს და სწევს. ჩემდაუნებურად წამოვიძახე: ეს ხომ მოკინოვის გარმონია!

ნამდვილად ასე იყო თუ არა, ამის თქმა ძნელია, მაგრამ მე რომ ასე მეგონა და მჯეროდა, ეს კი ნაღდი იყო.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

დაუწერელი წიგნის ფურცლები

1944 წლის აგვისტოში ერევნიდან გასულმა ეშელონმა ერთი თვის შემდეგ გადაკვეთა მდინარე ბუგი — საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვარი—და რამდენიმე დღის მერე რომელიღაც სარკინიგზო სადგურში შეჩერდა. ახალბედა უმცროსი ლეიტენანტები ავტომანქანებით ქალაქ ჟეშუვის სამხრეთით მდებარე ტყეში მიგვიყვანეს.

რამდენიმე ასეული კაცი — მენაღმტყორცნე და მეტყვიამფრქვევე ოფიცრები, რომლებმაც ერთი სამხედრო სასწავლებელი დავამთავრეთ, აქ თითქმის ერთ კვირას დაგვასვენეს...

და აი, ერთ დილას პატარა მოედანზე მოგვიყარეს თავი. გვითხრეს, რომ იმ დღესვე უნდა დავდგომოდით გზას ფრონტისაკენ და გამოგვიცხადეს, ვინ რომელ ნაწილში იმსახურებდა. ერთ არმიაში, ერთ დივიზიაში, ერთ პოლკში, ერთ ბატალიონში და, წარმოიდგინეთ, ერთი სანაღმტყორცნო ასეულის ოცეულთა მეთაურობა გვერგო მე და გიორგი ჩახხუნაშვილს.

ჩვენი მისამართი იყო: 181-ე დივიზიის 179-ე პოლკის მე-3 ბატალიონის სანაღმტყორცნო ასეული. ამ მისამართს უნდა მივეგნეთ ვისლის გადაღმა, სანდომირის პლაცდარმზე, გზად შემხვედრი ავტომანქანით, ფორნით თუ ფეხით უნდა გვევლო და გვეპოვნა ჩვენკენ დაახლოებით ას კილომეტრზე, უკრაინის პირველი ფრონტის მოწინავე ხაზზე მდგარი ნაწილი.

გამოვეთხოვეთ ბიჭებს — ქართველებს, რუსებს, სომხებს, უკრაინელებს, წელიწადნახევრიანი მხედრული ცხოვრების ძმებს და მე და გიორგი სანდომირისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

კარტოფილი და ასანთი

ამ ღამეს მინდორში ეულად მდგარი თივის ზვინი იყო ჩვენი თავსასთუმალიც და თავშესაფარიც.

ორმოცდაათი-სამოცი კილომეტრი გვექნება კიდევ გასავლელი. გზად თითქმის არ შეგვხვედრია რაიმე ტრანსპორტი. ფეხით მივდივართ გზითა და უგზოობით, ხან გეზიც გვეშლება. არა და ვჩქარობთ, რაღაც შინაგანი ძალა მიგვერეკება დაუოკებლად. საგზალიც გაგვითავდა. ძალზე იშვიათად შემხვედრთ — პოლონელებსა თუ ჩვენს ჯარისკაცებს სანდომირის გზის სწავლებას ვთხოვთ.

რომელიღაც სოფელში შევდივართ. სოფელი-მეთქი, თორემ აგურით ნაშენი საღუმელე მილებიღა დგანან გაშავებული. ხანძარს და სიკვდილს გადარჩენილი სოფლელები მიწურებში ჩასახლებულან.

ღუმელისმილიან ერთ ეზოში მაგიდას შვიდნი შემოსხდომიან. ყველა მათგანს წინ უდევს თეფშში მოხარშული და აზელილი კარტოფილით. მაგიდის შუაში რძით სავსე ჯამი დგას. თეფშებიდან კარტოფილს ხელით იღებენ, რძეში ასველებენ და ხარბად შეექცევიან.

სახლი დამწვარა. ჭიშკარი დარჩენილა. იმ ჭიშკართან გავჩერდით და გამოველაპარაკეთ. ნერწყვმა ლამის დაგვახრჩოს, საჭმლის თხოვნას კი ვერ ვუბედავთ, ვხედავთ, თვით ამ დამშეულ ოჯახსაც არ ჰყოფნის დასაპურებლად.

წეკო ამოვიღე და გაზეთის ქაღალდში გავახვიე. არ გვინდა მათ ვუყუროთ. თვალი კი მაინც იქით გაგვირბის. ყველაზე უფროსი დგება და თავისი ულუფის დარჩენილ ნახევარს გვიწვდის. უკვე რამდენიმე პოლონური სიტყვა ვიცით. ერთი მათგანია „ძენკუე“ — გმადლობთ.

მასპინძელი გვანიშნებს, საით უნდა წავიდეთ. მივდივართ. უცებ იმ კაცის ხმა წამოგვეწია და შეგვაჩერა. ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდება და საოცარი მოკრძალებით მთხოვს იმ ასანთს, რომლიდანაც წეკოს მოვუკიდე. მისი კარტოფილის ულუფასავით ძმურად ვიყოფთ ერთ კოლოფ ასანთს.

იმ დღეს, 1944 წლის 21 სექტემბერს, ვისლაზე გადავედით ჩვენი მესანგრეების მიერ აგებული ხიდით.

უკვე სანდომირის პლაცდარმზე ვართ.

ტყეში ველის ზოლი გაჭრილიყო

აქ უკვე ხშირად გვხვდებიან სამხედროები.

და აი, ქვემეხების სროლის კანტიკუნტი ხმაც გვწვდება. ივლისში, ჩვენი ჯარების დიდი შეტევისა და ამ პლაცდარმის აღების შემდეგ, აქ, აგერ უკვე მესამე თვეა, ფრონტის ხაზი, ერთ ადგილს სტკეპნის. ორივე მოწინააღმდეგე მხარე თავდაცვაზეა გადასული, ორივე მოწინააღმდეგე მხარე ჯიუტად და გულმოდგინედ ემზადება მორიგი შეტევისათვის.

— ამ გზით აიმ ტყეში შეხვალთ და მაგ დივიზიას იქ იპოვითო, — გვეუბნება შემხვედრი ჯარისკაცი. და როცა გვითხრა, მეც იმ დივიზიიდან ვარო, ლამის გადავკოცნეთ.

დაღლაც დაგვავიწყდა და შიმშილიც.

კარგა ხანს ვიარეთ. ტყეში მწვანე ქამარივით ჩავარდნილ ველის ზოლს მივადექით. ნახევარი კილომეტრის სიგანისა იქნება ეს ზოლი. ამ ზოლსაც გადავილით და გაღმა ტყეში ჩვენებს ვიპოვით.

წელგამართულები მივდივართ ველზე. ასიოდე მეტრი გვექნებოდა გავლილი, რომ გაღმა ტყიდან სროლა ატყდა. და მაშინვე ზურგიდან რუსული ძახილიც წამოგვეწია:

— დაწექით! უკან გერმანელები არიან!

მოცელილებივით დავეცით მწვანეანზე.

ირგვლივ კალიებივით ხტიან ტყვიები. ჩვენები ჩვენკენ თოფდამიზნებულ გერმანელებს უშენენ ცეცხლს. შიშნაკრავები მივცურავთ მწვანეანში, ხოხვით მივიწევთ ტყის იმ ნაპირისკენ, საიდანაც წელგამართულები გამოვედით.

ტყეში შესულებს ჯარისკაცები შემოგვეხვივნენ.

ისინი ჩვენი დივიზიის ჯარისკაცები იყვნენ.

იმ საღამოს ამ დივიზიის 179-ე პოლკის მესამე ბატალიონის მეთაურს, ვაჟკაცური შესახედაობის ახოვან რუს პოდპოლკოვნიკ კრავცოვს საფეთქლებთან მარჯვენა ხელმიტანილებმა მოვახსენეთ:

— უმცროსი ლეიტენანტები გამოვეცხადეთ თქვენს განკარგულებაში!

აგვხედ-დაგვხედა. „თავისუფლად“, გვითხრა უკვე ჭაღარაშერეულმა კაცმა და კარგახანს გვესაუბრა მამა-შვილურად. ბოლოს თავის ადიუტანტს უთხრა, ბიჭები დაღლილები და მშივრები იქნებიან. მზარეულთან მიიყვანე. კარგად დაანაყრონ. თბილ მიწურში გამოაძინე და ხვალ დილას თავიანთ ასეულში წაიყვანონო.

ასეულის მეორე ოცეული მე ჩამაბარეს, მესამე — გიორგი ჩაჩხუნაშვილს. ამ ოცეულთა ყოფილი მეთაურები ზაფხულის ბრძოლებში გამოსულიყვნენ მწყობრიდან.

ვისლიდან დაძრული გრიგალი

თავდაცვის „მშვიდობიანმა“ დღეებმა 1945 წლის 12 იანვრამდე გასტანეს.

11 იანვარს ბატალიონის პარტიული ორგანიზაციის კრება ჩატარდა. იმავე საღამოს საბრძოლო პოზიციები შევიცვალეთ. თვალი წამითაც არ მოგვიხუჭავს.

ხვავრიელად ათოვს ტრანშეებით, ბლინდაჟებით, მიწურებით, სანგრებით დაქსელილ და გულგამოღადრულ დედამიწას. დაძაბულად სუნთქავს მიწაც, კაციც, ლითონიც, რომელიც ორიოდე საათის შემდეგ გაუგონარი ძალის ცეცხლოვან ნიაღვრად უნდა იქცეს.

დილის ხუთი საათი იქნებოდა. გამაყრუებელმა ქუხილმა შესძრა ყველაფერი. ღამის კუპრს ცეცხლი წაეკიდა. ალაპარაკდნენ გერმანელთა მეწინავე პოზიციებისაკენ მიმართული ჩვენი ნაღმსატყორცნების ლულებიც.

შეტოკდა დედამიწა. სწორედ იმგვარად შეტოკდა. მიწისძვრისას რომ იცის ხოლმე.

გარიჟრაჟამდე გაგრძელდა ჯოჯოხეთური ცეცხლი. და როგორც კი ჩანისლულ ცას ოდნავ გადაედო დღის ფერი, შეუჩერებელ ნიაღვრად დაიძრნენ ტანკები და მექანიზებული ნაწილები. ჩაშავებულ ცას წითელი ვარსკვლავები გამოკერეს ჩვენმა თვითმფრინავებმა.

გერმანელები უკუიქცნენ.

უკანდახეულ მტერს კვალდაკვალ მივდევთ და მაინც ვერ ვეწევით. ცხენებს ხვითქი გადასდით. ნაღმსატყორცნები უკვე ფორნებზე გვიწყვია და კარაბინებით ხელში ლამის სირბილით მივდევთ.

ირგვლივ მოწინააღმდეგის დახოცილ ჯარისკაცთა გვამები და მიტოვებული იარაღი ყრია.

რომელიღაც დიდ შარაზე გავდივართ. ცაშიც ჩვენი შემტევი ხმა გრიალებს და მიწაზეც. დღეს საერთოდ არც დაგვიჩახავს ფრთებზე სვასტიკამიხატული სვავები. მაშ ეს რაღაა?! ზედ გზის შუაში, ჩვენი ბატალიონის ცენტრში ბომბები ცვივა.

— დაწექით! — ვუყვირი ჩემი ოცეულის ჯარისკაცებს. — ფორნები გზიდან გადაიყვანეთ!

ელვისებურად, ისევე როგორც გამოჩნდა, გაქრა თავდამსხმელი.

პირქვე გდია მეტყვიამფრქვეველთა ასეულის მეთაური. სტალინგრადიდან აქამდე ბრძოლით რომ იარა და ერთხელაც არ დაჭრილა. გულაღმა გადმოვატრიალე და მკერდზე ყური დავადე. აღარ სუნთქავდა. მის ახალთახალ, ბომბის ნამსხვრევებისაგან სახელურგადაღლეტილ ნაგანს ვიღებ. ამ იარაღს, თუ ცოცხალი დავრჩი, ომის ბოლომდე ვატარებ, დაე, იმის მაგივრად იბრძოლოს და შემდეგ, სადაც ჯერ არს მისივე სახელით ჩავაბარებ — სადმე მუზეუმში შემოინახავს მეგობრის ხსოვნას.

უცებ მომესმის ხმა:

— ლეიტენანტო!..

ჩემი ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ კრავცოვის ხმაა.

იმ ხმისკენ გავრბივარ.

სისხლიან თოვლზე წევს, გულაღმა წევს ორივე ფეხებწაწყვეტილი. უცრემლო, საოცარი გაკვირვების გამომხატველი თვალებით მიყურებს.

— ლეიტენანტო, გთხოვ მაგ რევოლვერით აქ მესროლე ტყვია, — და ხელით თავის საფეთქელზე მანიშნებს. — უფეხო გვამი ვერ ჩაუვალ ცოლ-შვილს...

უარს ვეუბნები. ვცდილობ ვანუგეშო.

— ლეიტენანტო, — მისმა ხმამ ფოლადი გაირია. — გიბრძანებ, მესროლო!

ჩემდა ბედად უფროსი ლეიტენანტი ლეონიდ სმირნოვიც მოვარდა. მალე ფრონტის დაც გამოჩნდა. ძნელია მდინარედ დაძრული სისხლის შეჩერება. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც კი შეგვიძლია...

ვემშვიდობები პოდპოლკოვნიკს. ვაჟკაცურსა და კეთილ მეთაურს, რომლის ბოლო შემოხედვაც მთელი ჩემი სიცოცხლის გზაზე გამყვება; ხოლო მისი სისხლიანი ფარაჯის ნაწილს, რომელიც მის მკერდს ათბობდა, მისდევს ჩემი ცრემლის ერთი ცხელი წვეთი...

ვისლიდან დაძრული გრიგალი გაუგონარი ძალით მიდის დასავლეთისაკენ. მიდის რათა ფაშიზმისაგან გაანთავისუფლოს ევროპის ხალხები, თვით გერმანელი ხალხი...

იმ გრიგალს მისდევს ჩემი ოცეულიც.

კარკე მუმლაძე

რწმენის ძალა

ორმოცდასამი წლის ზაფხულში პოლიტმუშაკების კურსებზე ვსწავლობდი თბილისში. მსმენელთაგან თითო-ოროლა ვიყავით ფრონტზე ნამყოფი. ამიტომ ბრძანება მოვიდა: ნაფრონტალი ხალხი ზურგის ნაწილებში გაგზავნეთ, რომ ახალწვეულებს ომის გამოცდილება გაუზიარონო. უარზე დავდექი — ფრონტზე უნდა წავიდე-მეთქი!

კურსების უფროსის მოადგილედ მუშაობდა პოდპოლკოვნიკი ივანე გვოზდიცინი, რომელიც ყირიმში 324-ე ლეგიონის კომისარი იყო და კარგად მიცნობდა.

— ვიცი, რომ მშობლების ერთადერთი ვაჟი ხარ. ისიც მახსოვს, რა ბრძოლები გადაიტანეთ ქერჩის ნახევარკუნძულზე. მერე შენ კავკასიაშიც ომობდი. ბიჭო, აღარ გეყო? ნაბრძანები გვაქვს, რომ ბრძოლაგამოვლილი პოლიტმუშაკები ზურგის ნაწილებში გავგზავნოთ. საქმისათვის სწორედ ასე სჯობია და რატომ ხარ უარზე?!

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მადლობელი ვარ რჩევისათვის. ეს ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ გთხოვთ დამეხმაროთ, თუ შეგიძლიათ. თუ არა და, მივდივარ ფრონტის პოლიტსამმართველოში.

— დახმარება, რასაკვირველია, შემიძლია, მაგრამ, იცოდე, გამიხსენებ...

ივანე გვოზდიცინი არაერთხელ გამხსენებია, ზოგჯერ — სინანულითაც, რომ არ დავუჯერე და ისევ გაგანია ცეცხლში მოვხვდი, მაგრამ მაშინდელი გადაწყვეტილება ახლაც სწორად მიმაჩნია. რწმენა მქონდა: თუ უჩემოდ აიღებდნენ ბერლინს, დავიღუპებოდი!

უკრაინის პირველ ფრონტზე გამანაწილეს. კიევის ოლქის ქალაქ ბელაია ცერკოვში წამოვეწიე 337-ე მსროლელ დივიზიას და ისევ ბრძოლაში ჩავები. დავინიშნე აღნიშნული დივიზიის 1129-ე ლეგიონის პირველი ბატალიონის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში.

1944 წლის პირველი იანვარი დადგა. ყინავა.

გადავწყვიტეთ ახალი წელი ჩავუმწაროთ გერმანელებს, შევუტიოთ ქ. ობუხოვს და გავათავისუფლოთ იგი. ასეულები გავინაწილეთ, სათავეში ჩავუდექით ათასმეთაური, მე და შტაბის უფროსი. როგორც პოლიტმუშაკი, ვფიქრობ, პირველი უნდა გავუძღვე ასეულს, შევუტიო მარცხენა ფრთიდან და გავდევნო გერმანელები. მტერი ჩასანგრებულია და მედგარ წინააღმდეგობას გვიწევს. მოკლე გადარბენებითა და სროლით მივიწევთ წინ. დგება დრო, როცა შეიძლება „ვაშა“ დააგუგუნო და ხელჩართული ბრძოლა გამართო. იერიშზე მომყევით-მეთქი, დავიძახე და, რაც შემეძლო, წინ გავიჭერი... უცებ წელში დარტყმა ვიგრძენი და მოცელილივით გავიშოტე...

ესეც შენი ახალი წელი!

სასკდომი ტყვია მარჯვენა ფერდში მომხვდა და მარცხენაში გააღწია. თეძოს თავზე გავიდა და გასკდა. ხერხემალს მილიმეტრის რაღაც მეასედით ასცილდა. ოდნავ რომ შეფერხებულიყო, ოდნავ შეხებოდა ხერხემალს, იქვე გასკდებოდა და...

ექიმები გაკვირვებული იყვნენ: ასე წკიპზე გადარჩენილი კაცი არ გვინახავსო! ახლა კი მსუბუქი ჭრილობა გამოდგა. ერთი თვე დავყავი ჰოსპიტალში და ისე გამოვეწერე, მოშუშებულიც არ იყო. ისევ ჩემს ბატალიონში დავბრუნდი, ძველ თანამდებობაზე.

მდინარე პრუტი გადავლახეთ, რუმინეთის ტერიტორიაზე პლაცდარმი დავიკავეთ და ქალაქ იასის მისადგომებზე ჩავსანგრდით. დაიწყო იასა-კიშინიოვის ოპერაციისათვის მზადება.

ერთ-ერთი დიდი დაბომბვის დროს, 1944 წლის 31 მაისს, მე და ლეგიონის აგიტატორი მაიორი ვალენტინ პოპოვი მიწაში დავიმარხეთ. როცა თვითმფრინავები წავიდნენ და მებრძოლებმა სანგრებიდან ამოიხედეს, ჩვენი მიწური აღარსად ჩანდა, ერთიანად მიწასთან იყო გასწორებული. იყვირეს, კომისრები დაუმარხავსო, დაავლეს ხელი ბარებს და დაიწყეს მიწის თხრა. ამოთხარეს მაიორი. იგი ცოცხალი იყო, მაგრამ ჭრილობა ჰქონდა თავში, თუმცა არც ისე მძიმე. ამომთხარეს მე, მკვდარიაო, დაასკვნეს, მაინც დამაგდეს ათასმეთაურის მიწურში: როცა დაღამდება, დავმარხავთო. დაიჭრა ბატალიონის მეთაურიც, ივანე ბატენკოვი, ბევრიც სხვა. დაჭრილები მედსანბატში წაიყვანეს, მკვდრები კი საღამოსთვის გადადეს დასამარხად. მოსულა ფერშალი, გავუსინჯივარ, დაუდასტურებია მკვდარიაო და წასულა თავის საქმეზე. ორი საათის შემდეგ გავცოცხლდი. ყოველივე, რაც მოხდა, მეომრებმა თავიანთი ხელით ჩამიწერეს დღიურში. ახლა ეს დღიური და სხვა მასალები ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახება. აქ კი მინდა საჯაროდ დავასახელო ბიჭები, რომელთაც ბარი დაკრეს ჩემს გაუქმებულ საფლავს.

სერგი ეგნატეს ძე გლადიშევი,
ვასილ სტეფანეს ძე რეგოტუნი,
მიხეილ დავითის ძე ბაბაჯანოვი,
ივანე არშაკის ძე სემიონოვი,
ეფიმ სიმონის ძე ბაჟინჩინი.

ამათგან სერგი გლადიშევს მივაგენი. იგი ბატალიონის კომორგი იყო, მამაცი მებრძოლი და შესანიშნავი ვაჟკაცი. კემეროვოს ოლქის კრაპივინის საბჭოთა მეურნეობის აგროუბნის მმართველია.

სხვებს დღემდე ვეძებ. განსაკუთრებით მაინტერესებს ვასილ რეგოტუნის ბედი, რომელიც ჩემი ორდინარეცი იყო და რომელთანაც გულთბილი მეგობრობა მაკავშირებდა.

ორი კვირის შემდეგ იმავე იასის მისადგომებზე დავიჭერი მძიმედ. ნაღმის ნამსხვრევები მომხვდა და ოცამდე ჭრილობა მომაყენა.

მტერმა ისე დაგვაყარა ყუმბარები, რომ გვეგონა, საარტილერიო მომზადება იწყებოდა. ტრანშეაში შევიკრიბეთ სათათბიროდ ბატალიონის მეთაური, მოლდაველი კონსტანტინე საქარა, შტაბის უფროსი, უკრაინელი ვლადიმერ პრიხოდკო და მე. ფუნქციები დავაზუსტეთ, საბრძოლო უბნები გავინაწილეთ და სასწრაფოდ ამოვედით ტრანშეიდან. სწორედ ამ დროს დაეცა ნაღმი და სამივე წაგვაქცია. პრიხოდკოს მედსანბატშივე მოკვეთეს მარჯვენა ფეხი. საქარა მსუბუქად დაშავდა. ყველაზე მძიმედ მე ვიყავი დაჭრილი.

შემიხვიეს, დამაწვინეს დროგზე და წამიყვანეს მედსანბატში. აღარ მახსოვს, ის ღამე როგორ გავათენე. ალბათ უგრძნობლად ვეგდე კარავში. მხოლოდ დილით მოვხვდი საოპერაციო მაგიდაზე. ვხედავ, თავზე მადგას საშუალოზე ოდნავ მაღალი კაცი და ჩემს ჭრილობებს წმენდს ნამსხვრევებისაგან. გარშემო თეთრხალათიანი ექიმები და ექთნები ახვევია. მარჯვენა ბარძაყის რბილობი ძვლამდეა ამოღლეჯილი... ქირურგმა მუცელზე დამადო ხელი და შეიცხადა: მუცელშიაო დაჭრილი! მის გამომეტყველებასა და მოძრაობაზე ვატყობ, რომ მძიმე დღეში ვარ. ახლა ამ კაცზეა დამოკიდებული, გადავრჩები თუ არა, ვიცოცხლებ თუ არა: ხელის ოდნავი უზუსტობა, დანის მცირე სიმრუდე თუ დაგვიანება, და ყველაფერი გათავებულია! რასაკვირველია, გამახსენდა ივანე გვოზდიცინი, მაგრამ ახლა საქმეს აღარაფერი ეშველება. მხოლოდ ქირურგის ხელებს შეუძლია მიხსნას ან სამარეში ჩამაყოლოს მოუქარვებელი სინანული.

— სისხლი! — თითქოს მშვიდად ამბობს, მაგრამ მაინც ვერ მალავს მღელვარებას ქირურგი.

მოიტანეს ორი მოზრდილი შუშა. შეხვეულში აღმოჩნდა ბარათი. მოსკოველი გოგო იწერებოდა: სამშობლოს დამცველო მეომარო, თუ ჩემმა სისხლმა გადაგარჩინოს, შენ — ძმა და მე [illegible] დაო..

გადამისხეს სისხლი. მომცეს ნარკოზი და წავედი ბურანში...

პალატაში გავიღვიძე. ისევ ის კაცი მადგა თავზე, ოპერაცია რომ გამიკეთა. მარიგებდა, მამშვიდებდა: ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ, აღარ მოკვდებიო.

ალბათ იკითხავთ, ვინ იყო ეს დასტაქარი?

337-ე დივიზიის სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის უფროსი და მთავარი ქირურგი, კაპიტანი მიხეილ ეჩიძე. მძიმე ოპერაციებს, უმთავრესად გულისა და მუცლის არეში, ის აკეთებდა.

მთავარი მაინც ისაა, რომ მიხეილ ეჩიძემ ერთი კვირის მაგივრად ოცი დღე გამაჩერა მედსანბატში: რომ გაგიშვა, გზაში მოკვდებიო. დღეში სამ-ოთხჯერ შემოდიოდა, მესაუბრებოდა, მაიმედებდა. შემდეგ მადლობის ბარათებს ვწერდი ჰოსპიტლიდან. ერთხანს ისიც მპასუხობდა. მერე დამეკარგა. სად არ ვეძებე ომის შემდეგ, ვერა და ვერ მივაგენი! მეც ჩავიქნიე ხელი, ალბათ ვეღარ ვნახავ-მეთქი...

და აი საოცრება!

მოვნახე ქალიშვილი, რომელმაც სისხლი გამომიგზავნა ფრონტზე — მარიამ მათეს ასული კატინა-აბრამოვა, მოსკოვის ერთი ქარხნის ინჟინერი. ამ რამდენიმე თვის წინათ იგი იყო რუსთავში, თბილისში, ერთმანეთს შევხვდით ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ამის შესახებ დაიბეჭდა პრესაში და... მიხეილ ეჩიძემ შეიცხადა: ეს ოპერაცია ხომ მე გავაკეთე!.. წავიდა რედაქციაში და ასე მომძებნა. თხუთმეტი წელია თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. სამხედრო სამსახურის შემდეგ დასახლებულა აქ და ძალიან უნდოდა, როგორმე მოვეძებნე. ერთხელ „ზარია ვოსტოკაშიც“ გამოუქვეყნეო წერილი, მაგრამ ალბათ გვარი შემეშალაო — მუმლაძის მაგივრად მამალაძეს ვეძებდიო და... რასაკვირველია, ვერ მიპოვიდა.

ახლახან ჩვენ იმავე მეგობრობის მუზეუმში შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო მართლაც ამაღელვებელი ამბავი.

მე მგონია, რომ იმ მკაცრ ომში მთავარი რწმენის ძალა, გადარჩენის, გამარჯვების რწმენის ძალა იყო, მთელ ჩემს თაობას რომ ასხივოსნებდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ მიხეილ ქვლივიძეს მეუღლის
ლილი გრომეკო-ქვლივიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ ხელი გაბრიჩიძეს მეუღლის
ფაშა ციციაშვილის
გარდაცვალების გამო.

ფრონტული იუმორი

აქ იბეჭდება რამდენიმე ნაკვესი, სხარტული გამოთქმა, ანეკდოტი თუ სატირული სცენა, მოთავსებული დიდი სამამულო ომის დროს (1941–1945) საფრონტო, საარმიო და ჯარისკაცურ პრესაში.

რედაქციას წარმოუდგინა ნიკა აგიაშვილმა.

სამხედრო რეზერვები

ერთხელ, სარეზერვო ნაწილების დათვალიერებისას, ჰიტლერმა ჰკითხა პოლკოვნიკს:

— ეს ლორიშვილები რატომ არ გაჰყვირიან „ჰაილ“-ს?

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ბატონო ფიურერო, — მიუგო პოლკოვნიკმა,—თქვენს წინაშე დგას ყრუ-მუნჯთა ნაკრები პოლკი.

●

— ჰანს, ხომ არ იცი, შევსების დროს რატომ მოვიდა მთელი ასეული ნიჩბებით?

— სავსებით გასაგები მიზეზის გამო: ეს არის მესაფლავეთა ასეული.

გამოცანა

ერთი მოკლეს, მეორე გარბის, დანარჩენები ტანს იქექავენ. ვინ არიან?

(ჰიტლერის ვაიმეომრები სტალინგრადთან).

სნაიპერთა შორის

— რად ეძახიან სნაიპერ ფედოროვს დოქტორს?

— ყოველ დღე აიძულებს ფრიცებს მიიღონ ტალახის აბაზანები.

ფინაპრის დეპეშა ფიურერს

პოტსდამი. ადოლფს.
მოუსვი, სანამ დროა! მიბაძე უფროსებს.

ფრიდრიხი № 1-ლი.

მუსოლინის ბარათი ჰიტლერს

გილოცავთ ისტორიულ თარიღს — ჩუდის ტბასთან გერმანელთა დამარცხების წლისთავს, რასაც შენთვისაც ვისურვებ.

ბანდიტო მუსოლინი.

ისტორიის გაკვეთილზე

მასწავლებელი: რა განსხვავებაა ჩუდის ტბასთან 700 წლის წინათ ალექსანდრე ნეველის მიერ დამარცხებულ „ჯვაროსანთა“ და მათ შთამომავალ გერმანელ ჯარისკაცთა შორის, წითელი არმია ასე რომ ანადგურებს ახლა?

მოსწავლე: ისინი უბრალოდ ქოფაკი რაინდები იყვნენ, ხოლო ესენი ნამდვილი ფაშისტი ძაღლები არიან!

ანკეტა

— თქვენი ხელობა? — ომი.
— მდგომარეობა? — ვერაფერიშვილი.
— შთამომავლობა? — შარაგზის ავაზაკი.
— ჯანმრთელობა? — შექანჯალებული
— ნასამართლევი ხართ? — დაუსწრებლად.
— ვისგან? — მთელი ქვეყნიერების მიერ.
— სასჯელის ზომა? — უმაღლესი.
— თქვენი გვარი? — ჰიტლერი.

ფართო ჰორიზონტი

— ერვინ, იცი თუ არა, ვინ არიან გოეთე, შილერი, ჰაინე?

— გოეთე და შილერი არ ვიცი, ჰაინეს კი კარგად ვიცნობ: მისი ძეგლის დანგრევაში მეც ვიღებდი მონაწილეობას.

ჯილდო

ფრიცი: ამბობენ, გენერალმა ფონ-ტრისმა კაპიტანი ლისტი ჯვრით დააჯილდოვაო.

ჰანსი: ტყუილია. ორივენი პარტიზანებმა ხის ჯვრით დააჯილდოეს.

მიზანში...

— ბერლინი ჩვენგან მოითხოვს გამარჯვებათა ცნობებს, თქვენ კი, ხომ ხედავთ, რა ხდება ჩვენს გარშემო: წითლები ჩვენივ ზარბაზნებიდან გვიშენ უმოწყალოდ...

— აიღეთ და აცნობეთ ბერლინს, გერმანელთა არტილერია მიზანს რომ არ აცდენს.

სიახლე ფიზიკაში

— როგორ ბედავ ოფიცერთან თამბაქოს მოწევას?

— მე... მე მეგონა... სუფთა ჰაერზე კი შეიძლება-მეთქი, ბატონო ობერლეიტენანტო.

— სულელო! სადაც ოფიცერია, იქ სუფთა ადგილს რა უნდა!

„კულტურული“ გერმანელები

ოფიცერი: რატომ დატოვე ცხენები ღია ცის ქვეშ, განა ვერსად გამონახე მათთვის თავლა?

ჯარისკაცი: აქ ახლომახლო არსადაა არც სკოლა, არც მუზეუმი ან სხვა შესაფერი დაწესებულება.

სნაიპერი

— რა გაბუზღუნებს? ხომ კარგად ინადირე?

— ნადირობით, იცოცხლე, ხელი არ მომცარვია. აი გერმანელებმა არავითარი წესრიგი არ იციან: ხან არავინ გამოჩნდება, ხან რამდენიმე კაცი ერთბაშად გამოხტება. რიგრიგობით მაინც გამოსულიყვნენ...

მიკროფონთანაა გებელსი

— გუშინ გებელსი ბარე სამ საათს ალაქლაქებდა ენას რადიოში!

— ვითომ, რა მინდაო?

— ენას კბილი მაგრად დააჭირეთო.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 03627